

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ილია ცეცხლაძე**

**ათანასე ალექსანდრიელის ჰომილიის – „აღწერისათვის  
ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ – ძველი ქართული თარგმანი  
(ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი)**

თბილისი

2022

ნაშრომი ეძღვნება წმიდა ათანასე ალექსანრიელის ერთ-ერთი ეგზეგეტიკური ხასიათის ჰომილიის – „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ – კვლევას, მასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ტექსტოლოგიურ, შინაარსობრივ პრობლემატიკას, ბერძნულ დედანთან შედარებასა და საღმრთისმეტყველო საკითხების ანალიზს.

აღნიშნულ ჰომილიაში ლუკას სახარების მეორე თავის 1-7 მუხლებია განმარტებული და ლიტურგიკულად კრისტეშობის წინა დღის საკითხავს წარმოადგენს. ეს მაღალმხატვრული ჰომილია ქართულად ეფრემ მცირეს გადმოუღია. თარგმანმა ჩვენამდე ოცი ნუსხით მოაღწია. წინამდებარე ნაშრომში ტექსტი დადგენილია ექვი უძველესი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაგან S-1276 უძველესია (XI საუკუნის მეორე ნახევარი) და ეფრემ მცირის ავტოგრაფს შეიცავს.

ნაშრომის ორი ნაწილისგან შედგება: პირველ თავში წარმოდგენილია ჰომილიასთან დაკავშირებული ისტორიულ ტექსტოლოგიური საკითხების კვლევა, ხოლო მეორეში ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარების შედეგებია ასახული.

გამოკვლევის ბოლოს, ექვსი ხელნაწერისა და მათი ბერძნულთან შედერების შედეგად კრიტიკულად დადგენილი, სამეცნიერო აპარატის მქონე ტექსტი და ძირითადი ტერმინოლოგიის ამსახველი ძველბერძნულ-ძველქართული ლექსიკონია წარმოდგენილი.

**რედაქტორები:**

**თინათინ დოლიძე, თსუ პროფესორი**

**თამარ ოთხმეზური, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**



## სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I. წმ. ათანასე ალექსანდრიელი – „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ – ისტორიულ-ტექსტოლოგიური ანალიზი.....	8
I.1. ჰომილიის ავტორი – წმიდა ათანასე ალექსანდრიელი.....	8
I.2. წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ძველ ქართულ მწერლობაში .....	11
I.3. ჰომილიის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერები .....	20
I.4. ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისთვის .....	26
I.5. ქართული თარგმანის ბერძნული წყარო.....	28
I.6. ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მახასიათებლები.....	29
I.7. პუნქტუაცია და პირობითი ნიშნები.....	34
თავი II. ბერძნული დედნისა და ქართული თარგმანის ურთიერთმიმართება .....	36
II.1. ჰომილიის მთარგმნელი – ეფრემ მცირე და მისი მთარგმნელობითი მეთოდი .....	36
II.2. ბერძნულ დედანსა და ქართულ თარგმანს შორის არსებული სხვაობანი.....	37
II.3. წმინდა წერილის ციტირება.....	45
II.4. ბერძნულ დედანში არსებული რიტორიკული ხერხების გადმოტანა ქართული თარგმანში .....	48
დასკვნა.....	51
გამოყენებული ლიტერატურა:.....	54
დანართი N1 .....	58
დანართი N2 .....	73

## შესავალი

ქართული ენის, ლიტერატურისა და ზოგადად, კულტურის ჩამოყალიბებაში უმთავრესი წვლილი საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულმა საგანმანათლებლო კერებმა და საეკლესიო მოღვაწეთა მთარგმნელობითმა საქმიანობამ შეიტანა. ეს მოღვაწეები, ეპოქის შესაბამისად, არაჩვეულებრივი ლიტერატურული ალლოთი არჩევდნენ მნიშვნელოვანსა და მათი ეპოქისთვის აქტუალურ თხზულებებს, თარგმნიდნენ, ქმნიდნენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, ხვეწდნენ მთარგმნელობით მეთოდს, ამდიდრებდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. ამ პროცესების წყალობით, საქართველო არასდროს ჩამორჩენილა მსოფლიოს წამყვან ლიტერატურულ პროცესებს. მთარგმნელობითსა და, ზოგადად, ფილოლოგიურ საქმიანობაში კი გარდამტეხი წვლილი ეფრემ მცირემ შეიტანა.

ჰომილეტიკა, როგორც საეკლესიო ქადაგებათა შემსწავლელი დარგი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე მასშტაბური ჟანრია. ქადაგება იმთავითვე იქცა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების უმთავრეს საშუალებად. საეკლესიო მწერლობის ამ ჟანრში წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ქართველ მთარგმნელებად ეფრემ მცირე, ექვთიმე და გიორგი ათონელები სახელდებიან. ეფრემ მცირე ჰომილეტიკას განმარტავდა, როგორც მრევლის წინაშე „ზეპირად პირისპირ თქუმაჲ“ (გაბიძაშვილი 2009: 15). მართალია, ჰომილია სასულიერო მწერლობის დამოუკიდებელ ჟანრად მიიჩნევა, მაგრამ რთულია მისი სხვა ჟანრებისგან გამიჯვნა. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ის ეგზეგეტიკური, პოლემიკური ან, სულაც, დოგმატური ხასიათისა შეიძლება იყოს.

ათანასე ალექსანდრიელის განსახილველი ჰომილია „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“, ეგზეგეტიკური ხასიათისაა. კერძოდ, ის ლუკას სახარების მეორე თავის 1-7 მუხლებს განმარტავს. ჰომილია ეფრემ მცირის მიერაა თარგმნილი. როგორც ელენე მეტრეველი მიიჩნევს, თარგმანი შავ მთაზე უნდა იყოს შესრულებული და აქვე გადაწერილი (მეტრეველი 1959: 116-117). ჰომილია და მისი ქართული თარგმანი ორ უმნიშვნელოვანეს ფიგურას გამოკვეთს: ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღმრთისმეტყველს, ალექსანდრიის ეპისკოპოსს,

„დიდად“ წოდებულ ათანასესა და ქართველ მთარგმნელთა და მოღვაწეთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ – ეფრემ მცირეს. აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში ათანასე ალექსანდრიელის განუზომელი მნიშვნელობისა და მისი შრომებით ძველ ქართველ მთარგმნელთა დიდი დაინტერესებისა, ათანასეს თხზულებათა ქართული თარგმანები ჯერ ისევ არ არის ჩვენში სრულად შესწავლილი და გამოცემული. ალექსანდრიის ეპისკოპოსის ქადაგებები კი ქართულად უთარგმნიათ ისეთ დიდ მოღვაწეებს, როგორებიც არიან: ეფთვიმე ათონელი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე და სხვანი. ე. მეტრეველი წერს: „შავი მთის სამწერლობო კერისა და მისი ხელნაწერი პროდუქციის ყოველმხრივი, ამომწურავი შესწავლა ჩვენი მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა. ამ მხრივ ბევრი რამ უკვე გაკეთებულია, ზოგი რამ კეთდება“ [მეტრეველი 1959: 115]. წინამდებარე ნაშრომიც მიზნად ამ საქმეში მოკრძალებული წვლილის შეტანას ისახავს: გადმოვწერეთ ათანასეს შვიდი ჰომილია, ამჯერად კი მკითხველს მხოლოდ ერთ მათგანს წარმოვუდგენთ გამოკვლევასთან ერთად. იხილავთ ექვსი ხელნაწერის მიხედვით, ბერძნულ დედანთან შედარებით დადგენილ, კრიტიკული აპარატის მქონე, თანამედროვე პუნქტუაციით გამართულ, აზრაცვებად დაყოფილ ტექსტს.<sup>1</sup>

წმიდა ათანასე ალექსანდრიელის ქადაგება 20 ხელნაწერთაა მოღწეული (გაბიძაშვილი 2009: 435). ტექსტი არცერთ ხელნაწერში რედაქციულ ან რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვან სახეცვლილებას არ განიცდის. ნუსხათა შორის ფიქსირდება მხოლოდ სათაურებს შორის არსებული მცირე განსხვავებები, ფონეტიკური და უმნიშვნელო ლექსიკური ცვლილებები. ამიტომ ჰომილიის შემცველი ნუსხები, თარიღის მიხედვით, ორ ჯგუფად გაიყო. პირველს ექვსი ხელნაწერი მიეკუთვნა, რომლებიც XI-XIV საუკუნეებითაა დათარიღებული. ტექსტის კრიტიკულად დადგენისა და სამეცნიერო აპარატზე მუშაობისას ამ პერიოდის ნუსხები იქნა გამოყენებული. მეორე ჯგუფში კი გაერთიანდა დარჩენილი 14 ხელნაწერი, რომლებიც XV-XIX საუკუნეებით თარიღდება. სამომავლოდ მათზე მუშაობაც იგეგმება.

კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: 1. შეიქმნა ათანასე ალექსანდრიელის სახელთან, როგორც ავტორთან და როგორც თხრობის ობიექტთან

---

<sup>1</sup> იხ. დანართი N.1.

დაკავშირებული ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული თხზულებების მეტნაკლებად სრული სია; დახარისხდა, მათგან რომელია გამოცემული, ჯერ ისევ გამოუცემელი, შესწავლილი და ბერძნულ დედანთან შედარებული, თუ ამ მხრივ ჯერჯერობით შეუსწავლელი; გადმოიწერა გამოუცემელი თხზულებების დიდი ნაწილი და ამ ეტაპზე საგანგებო კვლევისთვის შეირჩა დასახელებული ჰომილია. 2. გამოვიკვლიეთ ჰომილიასთან დაკავშირებული ისტორიულ-ტექსტოლოგიური ხასიათის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს პრობლემა, თხზულების შემცველ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება, ტექსტის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მახასიათებლები, გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებები, პუნქტუაციური და პირობითი ნიშნები და სხვა.

# თავი I. წმ. ათანასე ალექსანდრიელი – „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ – ისტორიულ- ტექსტოლოგიური ანალიზი

## I.1. ჰომილიის ავტორი – წმიდა ათანასე ალექსანდრიელი

ათანასე ალექსანდრიელი ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული და ყველასთვის ცნობილი მოღვაწეა. ათანასეს შემდგომი პერიოდის მოღვაწეები, კაბადოკიელები თუ სხვანი, აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ დამსახურებას ეკლესიის დოგმატთა დაცვაში. თავის ეპოქაში ათანასე იყო ცოცხალი ხატი და ნიმუში ასკეტიზმის, განსწავლულობისა და მებრძოლი ბუნებისა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ათანასესადმი მიძღვნილ პანეგირიკულ სიტყვაში „In laudem magni Athanasii“<sup>1</sup> ამბობს: „რომელთამე უმრავლესსა, რომელთამე ყოველსა ღუაწლსა და სათნოებასა ემსგავსა, სხვთ და სხვთ სახლ შუენიერებისად მოილო, ვითარ-იგი მხატვართა ჯელოვანთა ქმნიან, და ყოველივე კეთილი სულსა შინა თვსსა შეიკრიბა და ერთი სახლ სათნოებისად ყოვლით კერძო სრულებით გამოისახა. სიტყვთა ბრძენთა საქმითა მძლე ექმნა, საქმისმოქმედთა სიტყვთა ერეოდა; ვთქუა თუ, სიტყვთა – წარჩინებულთა მეტყუელთა წარმატა და საქმითა – საქმისმოღუაწეთა უაღრეს იქმნა“ [Coulie 2013: 60].

წმიდა მამა საკუთარ თხზულებებში ხშირად ჩნდება, როგორც პერსონაჟი, რაც იმ დროის საეკლესიო მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიაში, ძალიან საყურადღებო ფაქტია.<sup>2</sup> ხშირად, უბრალოდ, მოგვითხრობს საკუთარ თავზე, როგორც ამას აკეთებს თხზულებაში „არიანელთა წინააღმდეგ“ და ამბობს, როგორ დევნიდნენ არიანელები, როგორ სწამებდნენ ცილს, იტაცებდნენ ეკლესიებს (ჩუბინიძე 1991: 129).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათანასეს სახოტბო სიტყვას უძღვნის გრიგოლ ღმრთისმეტყველი; მასზე საუბრობენ კაბადოკიელი მამები, ეკლესიის

<sup>1</sup> In laudem Athanasii, ΛΟΓΟΣ ΚΑ' ΕΙΣ Τὸν μέγαν Ἀθανάσιον ἐπίσκοπον Ἀλεξανδρείας – „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისად კონსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისად შესხმა და ქება წმიდისა ათანასესი ალექსანდრიელ მთავარებისკოპოსისად“ (ეფთიმესეული სათაური) [Coulie 2013: 46]. ძველ ქართულად მოგვეპოვება ეფთვიმესეული და ეფრემისეული რედაქციები. შემდგომში ციტატებს მოვიხმობთ ხან ექვთიმესეული, ხან ეფრემისეული თარგმანებიდან, რადგან ეფრემისეული თარგმანი ელინოფილურ სტილს განეკუთვნება და ზოგიერთი მონაკვეთი გასაგებად ცალკე განმარტებებს მოითხოვს.

<sup>2</sup> მაგალითად, ის, როგორც პერსონაჟი, ჩანს თავისივე თხზულებაში „ანტონი დიდის ცხოვრება“.



ისტორიოგრაფიები, რუფინუსი და სხვები. ამდენად, ათანასეს ბიოგრაფიაზე ცნობათა სიმწირეს არ ვუჩივით. ქართულად მოგვეპოვება ათანასეს ცხოვრების სვინაქსარული და მეტაფრასული რედაქციები, რომლებიც ჯერ არ არის გამოცემული (ამაზე ვრცლად იხ. ქვემოთ). მწირი ცნობები მოგვეპოვება მხოლოდ მისი ცხოვრების ადრეულ წლებზე. მეათე საუკუნეში შედგენილი ალექსანდრიის პატრიარქთა არაბული ისტორიის ავტორი, ეპისკოპოსი სევერუს იბნ ალ-მუქაფას მითითებით, ათანასეს მშობლები არ იყვნენ ქრისტიანები. ათანასე იყო „გამოჩენილი, მდიდარი ქალის შვილი, რომელიც კერპებს სცემდა თაყვანს“ [Anatolios 2004: 2-3]. იმავე წყაროში ნახსენებია, თუ როგორ მონათლა ათანასე ალექსანდრე ალექსანდრიელმა და აიყვანა თავის მეურვეობაში. ალექსანდრე ალექსანდრიელთან დამკვიდრების შემდეგ მან საეკლესიო იერარქია ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა: ჯერ ეპისკოპოსის მსახური იყო, შემდეგ წიგნის მკითხველი, დიაკონი, მღვდელი, ბოლოს კი, ოთხი ათეული წლის განმავლობაში, ღირსეულად მართავდა ალექსანდრიის საეპისკოპოსო კათედრას (Anatolios 2004: 2-10).

ათანასე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, თეოლოგი, ფილოსოფოსი და ქრისტიანული ეკლესიის უდიდეს წმიდანად შერაცხილი მოღვაწე, დაიბადა 295 წელს ალექსანდრიაში, ქრისტიანთა დევნის დროს და იქვე 373 წლის 2 მაისს გარდაიცვალა (Oxford Dictionary 1991: 2017). ათანასეს პიროვნების გამორჩეულობასა და ქრისტიანულ ეკლესიაში მის დიდ როლზე მასთან დაკავშირებული ლეგენდები მეტყველებს. რუფინუსი მოგვითხრობს მის ბავშვობაზე. ალექსანდრე ალექსანდრიელს შეუმჩნევია, როგორ მონათლა ყრმა ათანასემ წარმართი ბავშვები საეკლესიო წესების სრული დაცვით, ეპისკოპოსმა მხოლოდ მირონცხების საიდუმლო აღასრულა (კოპლატაძე 2019: 213). ასეთივე ლეგენდად ქცეული ამბებია დაკავშირებული ნიკეის მსოფლიო კრებაში ათანასეს მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ კრებაზე ათანასე სწორი ქრისტიანული სწავლების ერთადერთ ჭეშმარიტ დამცველად მოგვევლინა და შემოიღო ქრისტიანულ დოგმატიკაში კარგად ცნობილი ტერმინი „ὁμοίσιος“ (თანაარსი). ამით მან არიანული ერესისგან დაიცვა ეკლესია (Thomson 1971: xii-xv). მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ათანასე დიდმა იმდენად დიდი ტანჯვა, ცილისწამება, მრავალმხრივი დევნა დაითმინა და ისეთი სიმტკიცე გამოავლინა, რომ მალევე ყველასთვის ყოველმხრივ მისაზამ მაგალითად იქცა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი მასზე ამბობს:

„ათანასეს მაქებელმან სათნოებად ვაქო, რამეთუ იგივე არს მისთვის თქუმადა და სათნოებისა ქებადა, რამეთუ ყოველივე თავსა შორის თვსსა შეკრებულად აქუნდა სათნოება.“<sup>1</sup> [Coulie 2013: 47].

ათანასე ალექსანდრიელი ცილისმწამებლებმა ხუთჯერ გადააყენეს საეპისკოპოსო კათედრიდან და გადაასახლეს. ათანასე სწორედ გადასახლებების დროს წერდა თავის საღმრთისმეტყველო ნაშრომებსა და ეპისტოლეებს. პირველად – 335 წელს, ტვირის სინოდალური დადგენილებით. 2 წელი იმყოფებოდა გალიაში, ტრირში. ალექსანდრიაში დაბრუნდა 337 წლის 23 ნოემბერს (Barnes 1993: 23; ჭელიძე 2016: 270); მეორედ – 339 წელს. დაახლოებით 6 წელი იმყოფებოდა რომში. ალექსანდრიაში 346 წლის 21 ოქტომბერს დაბრუნდა და ჩაიბარა საყდარი; მესამედ, 353-5 წლებში გადაასახლეს. ამ გადასახლებაში მან ყველაზე მეტი, 8-9 წელი დაჰყო, ეს პერიოდი მისთვის ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა. ამ დროს წმიდა მამა ეგვიპტის უდაბნოში მოღვაწე ასკეტებთან იმყოფებოდა და აქვე დაწერა „ანტონი დიდის ცხოვრება“. ეგვიპტის უდაბნოდან ალექსანდრიის საყდარს ის 362 წლის 22 თებერვალს დაუბრუნდა (Hardy 2022; ჭელიძე 2016: 270-271).

გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „ათანასეს ცხოვრების“ სვინაქსარულ ვერსიაში წერია: „კაცი სიყრმითგან მისით მართლადმსარებელი წმიდისა ერთარსისა სამებისა და მოძღუარი სარწმუნოებისადა, რომელმან პირველსა მას კრებასა ნიკიისასა, ოდეს-იგი არღა ქმნილ იყო ეპისკოპოს, მოძღურებითა სიბრძნისადათა და წამებითა წერილთადათა უღმრთოდ არიოზ დაამჯუა. ხოლო შემდგომად ნეტარისა ალექსანდრეს აღსრულებისა ამან დაიპყრა საყდარი მამამთავრობისადა ნებითა ღმრთისადათა და ბრძანებითა კონსტანტინესითა“ [დოლაქიძე 2018: 151]. ათანასე დიდი ალექსანდრიისა და, გრიგოლ ღმრთისმეტყველის თქმით, მსოფლიო ეკლესიას 46 წლის განმავლობაში მართავდა. გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს: „იყო (ათანასე) საქმითა სათნოებისადათა მაღალ და აღმატებულ, ხოლო გონებითა – მდაბალ. მოღუაწებითა სრულებითა – თვალთშეუდგამ, ხოლო შემთხუევად სხუათა – ტკბილ და სახიერ, მშუდ და განურისხველ. მოწყალე და თანამზრუნველ, ტკბილ სიტყვთა, უტკბილეს საქმითა, ანგელოზებრ სახითა, და უმეტესადღა, ანგელოზებრ გონებითა.“ [Coulie 2013: 86]. ათანასე

<sup>1</sup> ეფრემისეული თარგმანი. „Ἀθανάσιον ἐπαινῶν, ἀρετὴν ἐπαινέσομαι. Ταυτὸν γὰρ, ἐκεῖνόν τε εἶπεῖν, καὶ ἀρετὴν ἐπαινέσαι, ὅτι πᾶσαν ἐν ἑαυτῷ συλλαβῶν εἶχε τὴν ἀρετὴν.“ P.G. t.35, 1081.

დიდის როლი ქრისტიანულ ეკლესიაში, მისი მოღვაწეობა და თხზულებების საღმრთისმეტყველო მნიშვნელობა ძველ ქართველ მთარგმნელებს სათანადოდ შეუფასებიათ. ამაზე მრავალ ძველ ქართულ ხელნაწერში დაცული წმიდა მამის „ცხოვრებისა“ და თხზულებების თარგმანები მეტყველებს.

## I.2. წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ძველ ქართულ მწერლობაში

საინტერესოა დაკვირვება, რის მიხედვით არჩევდნენ ქართველი მთარგმნელები თუ როდის და რომელი თხზულება უნდა ეთარგმნათ, რომელი საღმრთისმეტყველო-დოგმატური თუ სხვა სასულიერო საკითხი და ტექსტი იყო ამა თუ იმ ეპოქისთვის საჭირო და სათარგმნად აუცილებელი. მაგალითად, შესაძლოა, ეს ხელნაწერები დღემდე არ არის აღმოჩენილი, მაგრამ ასევე შესაძლებელია ქართველ მთარგმნელებს საჭიროდ არ მიეჩნიათ ეთარგმნათ ათანასეს ისეთი უმთავრესი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის ტექსტები, როგორებიცაა „Contra Gentes“, „Contra Arianos“ და სხვანი, რადგან ელინთა წარმართული სწავლებები თუ არიანული ერესი ქართველ ქრისტიანებს საფრთხეს არ უქმნიდა, შესაბამისად, ამ სწავლებათა განმაქიქებელი თხზულებების გადმოღება მნიშვნელობას იყო მოკლებული. თუმცა, თარგმნილია ისეთი ზოგადსაყოველთაო საღმრთისმეტყველო შინაარსის მქონე თხზულებები, როგორებიცაა: „Vita Antonii“,<sup>1</sup> „De incarnatione“,<sup>2</sup> „De virginitate“<sup>3</sup> და სხვანი.

ეფრემ მცირე S-1276 ნუსხის ერთ-ერთ მინაწერში ამბობს, რომ ლიტურგიკული დანიშნულების კრებულისთვის სათარგმნად ეძებდა მუცლადღების საკითხავს: „შემინდევით, სხუად საკითხავი მუცლად-ღებისად ვერ ვპოე, რომელიმცა მეთარგმნა“<sup>4</sup> [მეტრეველი 1959: 121]. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში ჩანს სათარგმნი ტექსტის შერჩევისადმი პრაქტიკული მიდგომა – დღესასწაულების შესაბამისი თემატური

<sup>1</sup> „ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი“, ორი რედაქციით (იმნაიშვილი 1970: 84).

<sup>2</sup> „ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესო ქრისტე“ (მელიქიშვილი 2010: 43).

<sup>3</sup> ჯერჯერობით არ არის გამოცემული. ხელნაწერები: A-584, XIX, 246r-247r; A-1448, 1801-1862 წ., 25v-26r; ც. არქ. 268, XVIII, 99r-100v. მთარგმნელად სახელდება გიორგი ათონელი (გაბიძაშვილი 2009: 422). ბერძნული ტექსტი: P.G. t.28, 251-283. დასაწყისები ემთხვევა: „Πρωτον πάντων πίστευσον εις ἕνα θεόν πατέρα παντοκράτορα“, „პირველ ყოვლისა გრწმენინ ერთი ღმერთი, მამად ყოვლისა მპყრობელი“. ბერძნულთან შედარებით ქართული თარგმანი ძალიან პატარაა, სავარაუდოდ, გამოკრებილ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს (ი.ც.).

<sup>4</sup> საუბარია ეპიფანე კვიპრელის მუცლადღების საკითხავზე.

საკითხავი ტექსტების თარგმნა და ამ დანიშნულების მქონე სრული კრებულის შედგენა. იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა ათანასეს ჰომილიას „Sermo de descriptione deiparae“, რომელიც 24 დეკემბერს, შობის წინა დღეს, ბასილი დიდის ჟამისწირვის შემდეგ იკითხებოდა.

ათანასე ალექსანდრიელის ქართულ თარგმანთა პირველი სისტემური სია წარმოგვიდგინა კორნელი კეკელიძემ 1957 წელს, ეტიუდების მეხუთე ტომში. მან გამოყო იმ დროისათვის გამოცემული და გამოუცემელი ტექსტები, საეჭვოდ მიიჩნია ზოგიერთი მათგანის ავთენტურობა. მას შემდეგ ათანასესთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი თხზულებების თარგმანების გამოცემის შესახებ ინფორმაცია მიმობნეულია. მომდევნო სისტემური სია 2006 წელს გამოსცა მანანა მაისურაძემ.<sup>1</sup> 2007 წელს გამოცემული კრებულის „ბიზანტიოლოგია საქართველოში“ პირველ ტომში თინა დოლიძემ გამოაქვეყნა სტატია „ბერძნულენოვანი ალექსანდრიული მწერლობის კვალი საქართველოში“, რომელშიც მოცემულია ალექსანდრიელ მოღვაწეთა ქართული თარგმანების გამოცემათა ჩამონათვალი, მათ შორის, ათანასეს იმ დროისათვის გამოცემული თხზულებების სია, გამოცემათა დასახელებით (დოლიძე 2007: 81). 2004-2011 წლებში ენრიკო გაბიძაშვილმა გამოსცა ხელნაწერთა კატალოგის ხუთტომეული „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“, რომელშიც, უფრო სრული სახით, თუმცა მიმობნეულად არის წარმოდგენილი ათანასეს, როგორც ავტორისა და როგორც თხრობის ობიექტის თხზულებების სია და ნუსხები<sup>2</sup>. აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია მოცემულია ედიშერ ჭელიძის მიერ ზეპირად წარმოთქმულ ლექციათა ციკლში „საუბრები ქრისტიანულ ლიტერატურაზე“<sup>3</sup> (ათანასეს ეთმოზა რიგით 270-284 საუბრები), თუმცა, ეს ინფორმაცია სისტემატიზებულ ხასიათს არც იქ ატარებს.

ლოგიკურია, წინამდებარე ნაშრომში ათანასე ალექსანდრიელის თხზულებების ძველი ქართული თარგმანების შესწავლის დაწყების პირველ ეტაპს სწორედ დასახელებულ გამოცემათა მოძიება, გამოცემულ და გამოუცემელ თხზულებათა

<sup>1</sup> მანანა მაისურაძე, ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილეტიკური ლიტერატურის კატალოგი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა არტანუჯი, 2006.

<sup>2</sup> ათანასესთან დაკავშირებულ თხზულებათა მიმობნეულობას განაპირობებს მეთოდოლოგიური პრინციპი, კერძოდ, თხზულებები არა ავტორების მიხედვით, არამედ ჟანრობრივად დაჯგუფებული.

<sup>3</sup> იხ. [http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=616%3A-373&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka](http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=616%3A-373&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka).

დახარისხება, სისტემატიზება წარმოადგენდა. ძიების პროცესში შეიქმნა ათანასესთან დაკავშირებული ძეგლების უფრო ვრცელი სია. სწორედ ამიტომ, აუცილებელი იყო ამ სიის წარმოდგენა. სამომავლო მიზანს წარმოადგენს ყველა გამოუცემელი თხზულების კვლევა, ბერძნულთან შედარება და გამოსაცემად მომზადება.

**ათანასეს ცხოვრება და შესხმა / თხზულებები ათანასეს შესახებ:**

**გამოცემული:**

1. ათანასეს ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია – მაისის თვის საკითხავი (2), „რომელი იყო დიდისა კონსტანტინეს ზე და ძეთა მისთა...“ გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარიდან.“ გამოცემა: (დოლაქიძე 2018: 150-151; 222-223).

2. „შესხმა და ქება წმიდისა ათანასესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა“ – ავტორი გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ორი რედაქცია: 1. ეფთვიძე ათონელი: „ათანასეს რად ვაქებდე, სათნოებასა ვაქებ, რამეთუ ერთ არს მისი სახელისდებად და სათნოებისა ქება.“ 2. ეფრემ მცირე: „ათანასეს მაქებელმა სათნოებაი ვაქო, რამეთუ იგივე არს მისთვის თქუმა და სათნოებისა ქება“. გამოცემა: (Coulie – Metreveli 2013: 45-233).

**გამოუცემელი:**

1. „ცხოვრება და ლუაწლნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა“ – დასაწყისი: „მრავალნი წმიდანი შეიწუნეს და განიგმირნეს სურვილითა მით ზეცისადთა“. კიმენური რედაქცია. Ier.2. 115v-129r). ბერძნული დედანი: P.G. 25 CCXXIII-CCXLVI (გაბიძაშვილი 2004: 121).

2. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა“ – დასაწყისი: „სხუანი უკუე სხუებსა ნეტართა კაცთა თბრობებისა სახედ და საბამველად სათნოებისა წარმოიტყოდედ...“ მეტაფრასული რედაქცია. ნუსხები: A-79 (XII-XIII), 180v-206v, ქუთ.13 (XIII), 211r-218v. (გაბიძაშვილი 2004: 121).

3. განმარტებანი გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვისა ათანასე დიდის შესახებ – წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისაჲ სიტყუად დიდისა ათანასისთვის.“ კომენტარი: „დიდისა ათანასისთვის ესე სიტყუად, ცხად არს, ვითარმედ დღესასწაულობისა სახისგანობითა შესხმა არს...“ ნუსხები: A-109, XII, 121r-139r ; Ier.13, XIII-XIV, 338r-346v; Ier. 15, XIII, 126v-146v; Ier. 43, XII-XIII, 127r-148v. ავტორი: ბასილი მინიმუსი (X), მთარგმნელი: ეფრემ მცირე. აშეებზე მიწერილია კომენტარები.

ათანასე, როგორც ავტორი, ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში

გამოცემული:

1. „ცხორება და განგება წმიდათა მამათაჲ სტეფანწსი და ნიკონისი“ – გამოცემა: ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხორებანი, 1975; ა. ხახანაშვილი „მოამბე“ 1905, 256-261.
2. „ცხორება წმიდისა ანტონისი“ – ვ. იმნაიშვილი, ა. შანიძის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1970.
3. ამაღლებისათვის – „ხსენებაჲ აღდგომისაჲ მიანიჭებს კაცთა ძლევასა სიკუდილისასა...“<sup>1</sup> გამოცემა: თ. მაგლობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, 1991, 307-309.
4. აღდგომისათვის უფლისა – „აღსდგა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მესამესა დღესა და ცხორებაჲ სოფელსა მოჰმადლა.“<sup>2</sup>
5. განკაცებისათვის / შობისათვის უფლისა (Sermo in nativitate Christi) – „საკითხავი, თქუმული... ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და რამეთუ ღმრთისმშობელ არს წმიდაჲ ქალწული მარიამ, და რომელი იგი იშუა

<sup>1</sup> თ. მაგლობლიშვილის აზრით, ჰომილია ბასილი სელევკიელს მიეკუთვნება და ბერძნულსგან რედაქციულად განსხვავდება. მ. ვან ესბროკი კი მიიჩნევს, რომ ჰომილია დღეისთვის დაკარგული ბერძნული ორიგინალის თარგმანია. მ. მაისურაძე, ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილეტიკური ლიტერატურის კატალოგი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა არტანუჯი, 2006, გვ. 9-10.

<sup>2</sup> ხელნაწერებში ავტორად ათანასეა მოხსენებული. კორნელი კეკელიძე ნაშრომს იოანე ოქროპირს მიაკუთვნებს და ასახელებს ბერძნულ წყაროს P.G. t. 61, 733-739. ამ ცნობის მიხედვით, ჰომილია ოქროპირის სახელით ცნობილ „ოქროს წყაროშია“ მოთავსებული. გამოცემა: პ. კარბელაშვილი, ტფილისი, 1905 წ.

მისგან ღმერთი და იგივე კაცი.“ დასაწყისი: „საიდუმლოსა უცხოსა და დიდებულსა ვხედავ...“<sup>1</sup> გამოცემები: 1) ი. აბულაძე, სინური მრავალთავი (ტბეთის და პარხლის მრავალთავების მიხედვით, 1959; 2) აბულაძე, შრომები, ტ. 3, 1981, გვ. 69-78. 3) ნ. მელიქიშვილი, ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ, სას. აკად. ტ. 1. 2010, 43-50.

6. **სულიწმიდის მოფენისთვის (In Pentecosten)** – საკითხავი დღისა მისთვის მეერგასისა და მოსვლისათვის სულისა წმიდისა. დასაწყისი: „მადლმან, რომელმან განუყვნა დღეს ენანი, არა უტევებს შიშად სიმკოდვესა ენისასა...“<sup>2</sup> გამოცემა: თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, 1991, 341-344;

7. **ჯვრისათვის** – საკითხავი, თქუმული ათანასი ეპისკოპოსისად, ჭეშმარიტებისა წმიდისა ჯუარისათვის და რომელსა ზედა ივნო ქრისტემან. დასაწყისი: „ისმინეთ სიტყუანი ჭეშმარიტებისანი და იგავნი სწავლათანი...“<sup>3</sup> გამოცემა: თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, 1991, 429-433;

8. **ეპისტოლე წმიდისა ათანასეს ამონის მიმართ მონაზონისა (Epistula ad Amun)** – Περι γογορρυσίν. „Πάντα μὲν καλὰ καὶ καθάρὰ τὰ τοῦ θεοῦ ποιήματα“, „ყოველნივე უკუე კეთილ და წმიდა არიან დაბადებულნი ღმრთისანი.“ გამოცემა: ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, დიდი სჯულისკანონი, 466-469;

9. **ათანასეს 39-ე ეპისტოლეს ნაწილი** – (Epistula festales, epistula XXXIX in collectione canonum) – ჩამოთვლილია ახალი და ძველი აღთქმის წიგნები, საუბარია კანონიკურობა-არაკანონიკურობაზე. გამოცემა: ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, დიდი სჯულისკანონი, 470-471;

---

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერებში თხზულება ავტორად ათანასეს ასახელებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მას ზოგჯერ გრიგოლ სასწაულმოქმედს მიაწერენ (დოლიძე 2007: 82), ზოგჯერ კი ბერძნული გამოცემები ავტორად იოვანე ოქროპირსაც ასახელებს – P.G. t.56, 385-394; M. Van Esbroeck, Les anciens homileries, 122, 185, 211 (მაისურაძე 2006: 11).

<sup>2</sup> თ. მგალობლიშვილი შენიშნავს, რომ ჰომილია ხან პროკლეს, ხან ბასილი სელევკიელს, ხანაც ათანასეს მიეწერება და ბერძნულისგან რედაქციულად განსხვავდება. ვ. ესბროკის აზრით, თხზულება დაკარგული ბერძნული ორიგინალის თარგმანს წარმოადგენს (მაისურაძე 2006: 9).

<sup>3</sup> ვ. ესბროკის აზრით, ჰომილიის ავტორია მელიტონ სარდელი, ხოლო ქართული თარგმანის წყარო ბერძნული ორიგინალია (მაისურაძე 2006: 8-9).

10. ეპისტოლე რუფინიანეს მიმართ ეპისკოპოსისა – (Epistula ad Rufinianum) -გამოცემა: ე. გაბიძაშვილი, ე. გიუნაშვილი, დიდი სჯულისკანონი, 540-542;<sup>1</sup>

11. აღსარებაი წმიდისა და უბიწოისა ქრისტეანთა სარწმუნოებისაჲ – უკუეთუ ვისმე ჰნებავს ცხოვრებაჲ, პირველ ყოვლისა ჯერ არს, რათა აქუნდეს მართალი სარწმუნოებაჲ...“<sup>2</sup> გამოცემა: თ. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე – ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი, მრავალთავი, ტ. 18, 1999, 153-162.

12. გამოკვლევა ძალისა ფსალმუნთაჲსა – Epistula ad Marcellinum de interpretatione psalmorum – თხზულება გამოკრებილადაა თარგმნილი და სხვა ავტორების განმარტებებთან ერთად შესულია 974 წლის ფსალმუნთა კრებულში. გამოსაკვლევია და დასადგენია ათანასესეული ექსცერპტები. გამოცემა: მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 1, 1909, 144-163.

13. ათანასეს რამდენიმე თხრობა, თქუმულნი, გვხვდება კრებულში – Apophthegmata Patrum, მამათა სწავლანი და თხრობანი, რომელიც გამოცემულია: მ. დვალი, დ. ჩიტუნაშვილი, ტ. III, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2014. სხვა მამებს შორის ამ კრებულში არის ათანასეს რამდენიმე თხრობა ღმობიერებისათვის (გაბიძაშვილი 2006: 191), სათნოებისათვის (გაბიძაშვილი 2006: 285), სიმდაბლისათვის (გაბიძაშვილი 2006: 299) ხელსაქმისათვის (გაბიძაშვილი 2006: 352) და სხვა რამდენიმე თხრობა. ჩამოვთვლით მათ დასაწყისებს:

1. „თქუა მამამან ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსმან: მრავალგზის იტყუნ ვინმე ჩუენგანი, ვითარმედ: სადა არს დევნულებაჲ, რადთამცა ვიწამე?“ (დვალი 2014: 84).

<sup>1</sup> ჩამოთვლილთაგან მე-8, მე-9 და მე-10 თხზულება კანონმდებლობითი ხასიათისაა. ათანასეს, როგორც კანონმდებლობითი ხასიათის თხზულებების ავტორს, ვხვდებით სხვა ქართულ ტექსტებშიც. მისი ორი კანონი შედის ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში, რომელიც მეფე ვახტანგ VI-ის დიდ სამართლის კრებულშია შეტანილი (ი. დოლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 1, თბილისი, 1963, 196-7; 219). ათანასეს ციტირებას ეფთვიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონშიც“ ვხვდებით. იხ. თ. დოლიძე 2007: 83.

<sup>2</sup> თ. დოლიძის თქმით, ეს არის symbolum „quicumque“, რომელიც ნაყალბევად არის მიჩნეული, რადგან მასში სულიწმიდის მისგან გამომავლობაზეა საუბარი (დოლიძე 2007: 81). ბერძნული ტექსტი: P.G. t. 28, 1587-1592.



2. „ნეტარი ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსი ევედრა მამასა პამბოს, რადთა შთავიდეს უდაბნოთ ალექსანდრიად“. იქვე, გვერდი 181.

3. „წმიდასა და ნეტარსა მამასა ჩუენსა ათანასეს ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსსა ჰკითხეს ვიეთმე, ვითარმედ: სწორ არსა მე მამისა? და მან მიუგო: სწორ არსა ნათელი ორთა თუალთა ხედვისა?“ (იქვე, გვერდი 681).<sup>1</sup>

### გამოუცემელი:

1. ათანასეს „ფსალმუნთა“ განმარტება – სხვა ავტორებთან ერთად, ეფრემ მცირემ გამოკრებილად თარგმნა ათანასეს ფსალმუნთა განმარტება. შეტანილია კატენებიან ფსალმუნებში. მეტწილად, აქ ვხვდებით ათანასესა და კირილე ალექსანდრიელის განმარტებებს. გამოსაკვლევი და დასადგენია ათანასესეული ექსცერპტები. ნუსხა: H 1283, XVIII.<sup>2</sup>

2. ფსალმუნთა წიგნის განმარტება – „დიაფსალობად თითოსახედ თარგმნილ არს მრავალთა მიერ...“ Q-37, XI-XII, 13r-316r ; Ier.1, 1r-190r ; ლენინგ. აღმ. მც. ინსტ. H-18, XI-XII. სხვა ავტორებთან ერთად, დასახელებულია ათანასეც. თეოდორიტე კვირელის ექსცერპტები გამოავლინა და გამოსცა ვიქტორია ჯულელმა (ჯულელი 2019: 134). გამოსავლენია ათანასეს განმარტებები.

3. პავლე მოციქულის ეპისტოლეთა მოკლე განმარტებანი – პავლე მოციქულის წიგნი კორინთელთა მიმართ პირველი: „რადთა არა დაცალიერდეს ჯუარი ქრისტესი...“ „რად არს სიტყუად ესე, რომელ თქუა...“ Ath. 39, XI, 74v-99r. მთარგმნელი: ეფთვიმე ათონელი. ხელნაწერის სათაურში ავტორად დასახელებულია კირილე ალექსანდრიელი, თუმცა ტექსტში ათანასეს,

<sup>1</sup> ათანასეს ეს მოკლე მოთხრობა შესულია კრებულის ერთ-ერთ თავში, რომელიც შემდეგნაირად არის დასათაურებული: „სიტყუათაგან სულიერთა წმიდათა მამათასა, რომელნი მოღუაწებასა შინა დაბერებულ იყვნეს, მოკლე მოთხრობად ცხადმოფელი სათნოებათა“ (იქვე).

<sup>2</sup> კრებულში 150-ვე ფსალმუნის განმარტებაა. ე. გაბიძაშვილი ათანასეს მიუთითებს შემდეგი ფსალმუნების განმარტებაზე: 1. 150-ე ფსალმუნის განმარტება – „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა...“ H 1283, XVIII, 259r-270v. 2. 48-ე ფსალმუნი – „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაყო...“ (იმავე ნუსხაში, 242r-243r. 3).

გრიგოლ ნოსელის, იოვანე ოქროპირისა და თეოდორიტე კვირელის განმარტებებიცაა შესული. თეოდორიტეს განმარტებები გამოავლინა ვიქტორია ჯულელმა (ჯულელი 2019: 139).

4. ათანასი ალექსანდრიელის თქმული კითხვა-მიგება – „კითხუა: რომლისა ლოცვისაგან უფროდს ემინის სულთა უკეთურთა და ივლტიან მისგან ძრწოლით?“ კრებულ „მარგალიტის“ 41-ე თავი. A-1387 (XIX), 55v-65r (გაბიძაშვილი 2006: 85).

5. „კითხვა-მიგებად წმიდისა ათანასისი“ – „კითხვად: რადთამე უკუე შეენდობვის ქრისტეს უვარისმყოფელსა და სულისა წმიდისა მგმობარსა?“ Ath. 49, 68v-70r.<sup>1</sup>

6. ქრისტეს ხატის სასწაულისათვის ხალკუპრატისა – თხრობის ავტორად ხელნაწერში ათანასეა ნახსენები, ავტორი დასახელებული არ არის<sup>2</sup>, მთარგმნელი ეგრემ მცირე. ძირითადი ნუსხები: A-70, XIII, 313r-327r; A-162, X, 125v-132v, A-199, XII-XIII, 69r-70v (გაბიძაშვილი 2009: 430).

7. ათანასე ალექსანდრიელის თქმული – „რაჟამს გარდამოხდა სულიწმიდად მოწაფეთა უფლისათა..“ A-691, XVII, 84v-85r. კრებულიდან „ფუტკარი“ (გაბიძაშვილი 2009: 62).

8. ათანასე ალექსანდრიელის თქმული – „რომელი ქალწულისაგან იშვა და სვიმონ მკლავთა მიიქუა...“ A-691, XVII, 84r. კრებულიდან „ფუტკარი“ (გაბიძაშვილი 2009: 62).

9. გაცემისათვის იუდასგან – მიცემისათვის უფლისა ჩუენისა იუდასგან ჰურიათა მოშურნებისა – „მაცხოვრისა ჩუენისა ვნებად, საყუარელნო...“ Ath.11, X, 80v-82v (გაბიძაშვილი 2009: 116).

10. იოვანე ნათლისმცემლის შობისათვის – შობისათვის წმიდისა იოანე წინამორბედისა და ნათლისმცემლისა (სიტყვა მეორე) – „დასაბამი სოფლისა

<sup>11</sup> ათანასეს ერთ-ერთი ჰომილიის გადმოწერისას ეს „კითხვა-მიგება“ შემთხვევით აღმოვაჩინეთ. ე. გაბიძაშვილის კატალოგში ამგვარი დასაწყისით ეს თხზულება და ეს ნუსხა არ ფიქსირდება.

<sup>2</sup> „თხრობად სულთა სარგებელი სასწაულისა მისთვის, რომელი იქმნა ხალკუპრატისა პატიოსნისაგან და წმიდისა ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათვის ეწოდა მას თავსმდებ და თევდორესთვის მენავისა აბრაჰამ ჰურიისა: „სამეუფოთა სასწაულთა სახსენებელი წარმოუდგა დღეს და უხმს ამას გულისმოდგინებით მსმენელთა წმიდისა ათანასესი...“

სიხარულიად ზაქარიას მიმართ მთავარანგელოზისა გაბრიელისა ხარებად...“ Q-336, 1874 წ., 107v-112r; ქუთ.3, XVI, 249r-256r (გაბიძაშვილი 2009<sub>1</sub>: 173).

11. **მელქისედეკისათვის** – სიტყუად წმიდისა და დიდისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა მელქისედეკისათვის: „მეფესა მელქილს, ვითარცა თქუმულ არს, უვიდოდა ორნი ძენი...“ A 112, XVIII, 281r-283v; A 861, XVIII, 277r-281r; H 282, 1800წ., 322v-327r, H 1479, 1846წ., 26r-28r; S 139, 1711-1717წ.; ც. არქ. 1819, 36r-38r, H-282, 1800 წ., 322v-327r შეიძლება თარგმნილი იყოს რუსულიდან (გაბიძაშვილი 2009<sub>1</sub>: 237; 2009<sub>2</sub> 291).

12. **სიკვიდილისათვის** – „თქმული... ვითარმედ მთავარნი სიკვიდილითა ბოროტითა მოკუდებიან და ცოდვილნი მართალთა მათ სიკვიდილითა, „იყო მონაზონი განშორებული...“ A-112, XVIII, 335r; A-861, XVIII, 425r-426v. მთარგმნელი არჩილი. თარგმნილი რუსული პროლოგ-სვინაკსარიდან (გაბიძაშვილი 2009<sub>1</sub>: 350).

13. **ქალწულობისათვის** – „პირველ ყოვლისა გრწმენინ ერთი ღმერთი, მამად ყოვლისა მპყრობელი...“ A-584, XIX, 246r-247r; A-1448, 1801-1862 წ., 25v-26r; ც. არქ. 268, XVIII, 99r-100v. მთარგმნელი გიორგი ათონელი (გაბიძაშვილი 2009<sub>1</sub>: 422).<sup>1</sup>

14. **ცოდვილთა არა ყოველთა განკითხვისათვის** – სიტყუად რადთა არა განვიკითხავდეთ ყოველთა ცოდვილთა: „მოიგონეთ, ძმანო, უფლისად რომელსა იტყვის, ნუ განიკითხავთ...“ A-112, XVIII, 194v-195r; A-861, XVIII, 49v-50v. მთარგმნელი არჩილი. თარგმნილია რუსული პროლოგ-სვინაკსარიდან (გაბიძაშვილი 2009<sub>1</sub>: 472).

15. **„სიტყუად შობისათვის წინამორბედისა და ელისაბედისთვის და წმიდისა ღმრთისმშობელისა“** – „აგარაკსა ვიდრემე განყამირებულსა და ველის ვირთა დასათრგუნველად დატევებულსა მეერქუნე ხარი შრომით მკუეთელობითა აღუდგინებს ორნატა...“ ქუთ.3, XVI, 245r-249r (გაბიძაშვილი 2009<sub>1</sub>: 480).

---

<sup>1</sup> ბერძნული ტექსტი - PG. t. 28, 251-283. ბერძნულთან შედარებით ქართული თარგმანი ძალიან შემოკლებულია. როგორც ჩანს, მხოლოდ დასაწყისია თარგმნილი.

16. ხატისა სასწაულისათვის ქალაქ ბივრიტიაში<sup>1</sup> – „თქუმული სასწაულისა მისთვის, რომელი იქმნა პატიოსნისა ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ბივრიტე ქალაქსა შინა“, „აღიხილენით თუაღნი გონებათა თქუენთანი, ქრისტეს სამწყსონო...“ A-55, XI-XII, 392v-394v; H-3258, 1816 წ., 36r-v; S-4930, XVI-XVII, 486v-492r; Ath.49, XI, 69v-72r (გაბიძაშვილი 2009: 492).

17. ჯვარცმისათვის – „თქუმული ქრისტეს ჯუარისათვის“, „რამეთუ ესრეთ მოგუეთხრა ჩუენ წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთაგან...“ A-691, XVII, 89v-90r; H-1027, 1782 წ., 139v-140r (გაბიძაშვილი 2009: 498).

და ბოლოს, ჩვენ მიერ შერჩეული ჰომილია:

18. „სიტყუაჲ აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისა და იოსებისათვის, რომელმან მოითხოვა იგი“ (ხელნაწერთა ჩამონათვალი იხ. ქვემოთ).

მიუხედავად ჩამონათვალის სიმრავლისა, ათანასე ალექსანდრიელის ვრცელი მემკვიდრეობიდან ქართულად საკმაოდ მცირე ნაწილია თარგმნილი. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ათანასე ალექსანდრიელს ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ არ იცნობს. სამომავლოდ, ძალიან მნიშვნელოვანია, შეიქმნას ათანასე ალექსანდრიელის ძველ ქართულ თარგმანთა სრული კრებული.

### I.3. ჰომილიის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერები

წმ. ათანასე ალექსანდრიელის ჰომილია „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“, დღევანდელი მონაცემებით, ოცმა ქართულმა ხელნაწერმა შემოინახა, რომლებიც XI-XIX საუკუნეებითაა დათარიღებული. ამ ეტაპზე, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კრიტიკული ტექსტის დასადგენად, ისინი სიძველისა და მნიშვნელობის მიხედვით, ორ ჯგუფად დაიყო:

1. უძველესნი (6 კრებული), XI-XIV საუკუნეებით დათარიღებული (ჩამოთვლილია, შესაბამისად, უძველესიდან უახლესისკენ): S-1276, XI-XIII, 64r-

---

<sup>1</sup> დღევანდელი ბეირუთი.

71r, A-162, XI, 19r-23v, A-1170, XI-XII, 86v-94r, Jer.23, XII-XIII, 74r-78v, A-182, XIII, 128r-138v, Jer. 38, XIII-XIV, 101r-110v.

2. გვიანდელი პერიოდისანი (14 კრებული), XV-XIX XI-XIV საუკუნეებით დათარიღებული. ჩამოთვლილია, შესაბამისად, უძველესიდან უახლესისკენ: A-382, XV, 273v-276v; A-381, 1837-1838 წ., 62r-69r; A- 518, 1708 წ., 418r-424r; A-674, XV-XVI, 63v-68v; H-169, 1833 წ., 59v-67v; S-449, XII-XIX, 45r-49v; S-1513, XVII, 64v-72r; S-4624, 1812 წ., 38r-73r; Q-39, 1560-1578 წ., 83r-90v; Q-112, 1801 წ., 84r-99v; Q-273, XVIII, 54r-58r; ქუთ.5, XVI, 412r-415v; ქუთ.38, 1579-1612 წ., 728r-739v; ქუთ.89, 1771 წ., 80r-85v;

კრიტიკული ტექსტის დადგენისას 6 ნუსხის მიხედვით უკვე მომზადებულ ტექსტში გვიანდელი პერიოდის კიდევ ერთი ნუსხის, კერძოდ A-382-ის (XV ს.), მონაცემების ასახვაც ვცადეთ, მაგრამ განსხვავებები მხოლოდ ფონეტიკური ხასიათისაა, ძირითადად, იოტას ხშირ და არასწორ გამოყენებაში ვლინდება. მაგალითად, თუ სხვა ყველა ხელნაწერში ეწერა „საიდუმლოთა დაფარულეზანი“, აქ წერია „საადუმლოთა დაფარულეზანი.“ ამიტომ საჭიროდ არ მივიჩნიეთ მათი სქოლიოებში შეტანა.

პირველ ჯგუფში გაერთიანებულ უძველეს ხელნაწერებში რედაქციული სხვაობა არ შეინიშნება. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გადამწერის მიერ გადაწერილ თხზულებას შორის, ძირითადად, მხოლოდ ფონეტიკური და უმნიშვნელო ლექსიკური თუ გრამატიკული სხვაობები ჩანს.

ტექსტის დადგენისას მთავარ ხელნაწერად უძველესი, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვლეული ჰიმნოგრაფიულ-ჰაგიოგრაფიული კრებული – S-1276 იქნა გამოყენებული, რომელიც A ლიტერით აღინიშნა.

**ხელნაწერის აღწერილობა:** 220 ფ., ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, ნუსხური, სათაურები მთავრულით და სინგურით. რესტავრირებული. ამ კრებულში ერთადაა აკინძული ორი სხვადასხვა ხელნაწერი. პირველი (1-115) ჰომილეტიკური ხასიათისაა, მეორე (117-220) – ჰაგიოგრაფიული; პირველი ნაწილი შესრულებულია 4 სხვადასხვა ხელით, მესამე ხელს ეფრემ მცირეს მიაკუთნებენ. მეორე ნაწილი შესრულებულია ერთი ხელით. ამ ორ კრებულს ერთმანეთისგან სუფთა ფურცელი ყოფს. გვერდები ნუსტისგანაა დაზიანებული, მაგრამ ეს ამოკითხვას ხელს დიდად არ უშლის. ჰომილიის დასაწყის

ფურცელზე (64r) დიდი ნუსხური ასოებით, მოლურჯო ფერის მელნით წერია: „წომედსათოის შნდობა ბძანეთა ღთისა და მისისა დედისა, ან.“ ათანასე ალექსანდრიელის ჰომილია<sup>1</sup> მოთავსებულია ეპიფანე კვიპრელის „მუცლადღებისათვის ანნადსა“ (დეკემბერსა თ') და ბასილი ისავრიელის „სიტყუად ჩჩვლთათვის ბეთლემს მოწყუედილთა“ (დეკემბერს კდ') საკითხავებს შორის (მეტრეველი 1961: 136-138).

ამ კრებულს მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტი სძენს: ის ანტიოქიის რეგიონში, კერძოდ, კასტანას მონასტერში, XI ბოლო ათწლეულში უნდა იყოს გადაწერილი, სადაც ამ დროს, 1091 წელს წინამძღვარი სწორედ ეფრემი იყო (ოთხმეზური 2019: 359). მასში ეფრემ მცირის ავტოგრაფი ფიქსირდება. ხელნაწერი წარმოადგენს სარედაქციო ცალს, რომელშიც ეფრემის რედაქტირების კვალიც ჩანს. ასევე, ამ კრებულის პირველ, ჰომილეტიკურ ნაწილში, ერთი თხზულების გარდა ყველა ეფრემის თარგმნილი უნდა იყოს, რაზეც მისი მინაწერები, ე.წ. „შეისწავებები“ მეტყველებს (მეტრეველი 1959: 117, 120-121). ხელნაწერი შესრულებულია უხეშად დამუშავებულ აღმოსავლურ ქალაქზე და მარგინალური, ეფრემისეული სასვენი ნიშნებითა და მათი ფუნქციებითაც გამოირჩევა (ოთხმეზური 2019: 360-361). გვიანდელი მინაწერების მიხედვით, ხელნაწერი XIV საუკუნიდან უკვე საქართველოშია (ოთხმეზური 2018: 118).

*ჰომილიის სრული სათაურია:* „წინა ღლით ქრისტემობისა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასე ალექსანდრელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუად აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. გუაკურთხენ, ო~ო“.

როგორც უკვე ითქვა, ჰომილიის მთარგმნელი რომ ეფრემ მცირეა, ამაზე მეტყველებს მისი, როგორც რედაქტორის, მინაწერები. ამის დასადასტურებლად ელენე მეტრეველი საკმაოდ მყარ არგუმენტებს წარმოადგენს. კრებულის ჰომილეტიკურ ნაწილში 13 თხზულებიდან 10 უეჭველად ეფრემის თარგმანია. დანარჩენი სამიდან ერთია ეფთვიმეს თარგმნილი „მუცლადღების საკითხავი“. სამიებელია დანარჩენი ორი.<sup>2</sup> მეტრეველის აზრით, კრებულის რედაქტორს, ეფრემს, განუძრახავს თავისი თარგმანების ამ კრებულში

<sup>1</sup> ხელნაწერში სათაურთან, სადაც მთავრულით წერია „წინა ღლით ქრისტემობისა საკითხავი“ მხედრულით მიწერილია „დეკემბერს კ“ (64r), რაც აშკარა შეცდომაა. სხვა ყველა ნუსხაში 24 დეკემბერია მითითებული და ჰომილიის სათაურიც ამასვე მეტყველებს.

<sup>2</sup> ათანასეს ჰომილიის თარგმანს ე. მეტრეველი ეფრემ მცირეს მიაკუთვნებს (მეტრეველი 1959: 124).

გაერთიანება, მაგრამ რადგან რამდენიმე საკითხავი უკვე თარგმნილი ყოფილა, ხელახლა აღარ უთარგმნია, ისე შეუვსია ჰომილეტიკური კრებული. ეფრემი ამბობს: „უფალო, შეიწყალე მღვდელი იოანე, მბრძანებელი ჩუენდა ამათ საკითხავთა თარგმანისად.“ სხვა მინაწერში კი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ერთ თხზულებას, რომელიც მას არ უთარგმნია. ამას არ მიაწერდა მხოლოდ ერთ თხზულებას, თუ სხვა ჰომილიებიც მას არ უთარგმნია ამგვარ ინფორმაციას მათ შესახებაც მიაწვდიდა მკითხველს (მეტრეველი 1959: 122-123).

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ეფრემის მთარგმნელობით საქმიანობაში ორ – პრეელინოფილურ და ელინოფილურ პერიოდს გამოყოფენ. XI საუკუნის 90-იან წლებამდე ეფრემის თარგმანები წინარეელინოფილური პერიოდის ათონელ მთარგმნელებთან უფრო ახლოს დგას და მკითხველზეა მორგებული, ნაკლებად ახასიათებს რთული სინტაქსი და ტერმინოლოგია. ამგვარ მეთოდს ე.წ. „სიტყუადართვით“ თარგმანს უწოდებენ (ბეზარაშვილი 2004: 411). XI საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ კი ეფრემის თარგმანები ელინოფილიზმით გამოირჩევა. მთარგმნელი თანდათანობით ქმნის საკუთარ ტერმინოლოგიურ სტრუქტურას, ახასიათებს ფორმალურ-ეკვივალენტური თარგმანი, რთული სინტაქსური კონსტრუქციები (ბეზარაშვილი 2004: 411; ოთხმეზური 2011: 19-20). თუ პირველ პერიოდში სათარგმნ ერთეულად აღებულია წინადადება, ფრაზა ან ტექსტის მთელი მონაკვეთი, მეორე პერიოდში ამ ერთეულს სიტყვა ან ფრაზა წარმოადგენს (ბეზარაშვილი 2004: 320). გარდა იმისა, რომ ჰომილიის უძველესი ხელნაწერი XI საუკუნის ბოლო ათწლეულში გადაწერილად არის მიჩნეული და ეს ადასტურებს, რომ თარგმანი ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პირველ პერიოდს უნდა განეკუთვნოს, ბერძნულთან შედარებამ აჩვენა, რომ თარგმანი არ გამოირჩევა რთული ტერმინოლოგიით, სინტაქსით და ნაკლებად წარმოადგენს ფორმალურ-ეკვივალენტურ თარგმანს, არ ახასიათებს მიმღეობური კონსტრუქციები. მამასადამე, წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია აზრი, რომ ჰომილიის მთარგმნელი ეფრემ მცირეა<sup>1</sup> და ახალი კვლევა ამ აზრს ამყარებს არგუმენტით, რომ თარგმანის დედანთან შედარება ცხადყოფს თარგმანის ეფრემის

---

<sup>1</sup> როგორც დავასახელებთ, ამ ცნობას იზიარებს ე. მეტრეველი, კ. კეკელიძე, ე. გაბიძაშვილი და თ. ბრეგაძე (ბრეგაძე 1971: 430).

წინარეელინოფილური პერიოდის მთარგმნელობით ხასიათს. ამაზე ვრცლად მეორე თავში.

ქვემოთ წარმოდგენილია ჰომილიის შემცველი დანარჩენი ხუთი ხელნაწერის შესახებ მოკლე ინფორმაცია და ნუსხათა მიხედვით ერთმანეთისგან მცირედით, თუმცა, მაინც განსხვავებული მისი სრული სათაურები:

**A-162 (XI), 19r-23v (აღნიშნულია B ლიტერით):** მეტაფრასული კრებული, 208 ფ.; შეიცავს წმინდა მამათა საკითხავებს, რომელთა უმეტესი ეფრემ მცირის მიერაა თარგმნილი და შედგენილობით ჰგავს S-1276 ნუსხას. ანტიოქიური წარმომავლობისაა, შესრულებულია შავი მთის ხელით, უხეშად დამუშავებულ აღმოსავლურ ქაღალდზე; ნუსხურით, სათაურები – სინგურით. სიტყვათა დაქარაგმებისას გამოიყენება სწორი ხაზი. ისევე, როგორც S-1276-ში, აქაც დასტურდება განკვეთილობის ნიშნები, მახვილები და ეფრემ მცირის სასვენიშნო სისტემა (ოთხმეზური 2019: 363; მეტრეველი 1976: 232). ათანასეს ჰომილია მოთავსებულია ეპიფანე კვიპრელის „მუცლადღებისათვის ანნაჰსა“ და ბასილი დიდის „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ საკითხავებს შორის.

*ჰომილიის სრული სათაურია:* „დეკენბერი კდ'. წ[ინა] დ[ლ]ით ქ[რისტეს] შ[ობი]სა საკითხავი თქუმული წმიდისა [და ნეტარისა] მამისა ჩუენისა ათანასი ალექ[სანდრ]ელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუად [აღ]წერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშ[ობ]ლისა მარიამისა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. გუაკურთხენ, მამაო!“

**A-1170 (XI-XII), 86v-94r (აღნიშნულია C ლიტერით):** მრავალთავი, 232 ფ., ნაწერია სქელ ქაღალდზე ნუსხურით, სათაურები – სინგურით. უყდოა და თავ-ბოლონაკლული; გადამწერია ქრისტეფორე (4v). აქაც, ისევე, როგორც A-162-ში ათანასეს ჰომილია მოთავსებულია ეპიფანე კვიპრელის „მუცლადღებისათვის ანნაჰსა“ და ბასილი დიდის „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ საკითხავებს შორის. ეს ხელნაწერიც შეიცავს წინა ორ ხელნაწერში შემავალ თხზულებათა დიდ ნაწილს (შარაშიძე 1954: 239, 240-241).

*ხელნაწერში ჰომილიის სრული სათაურია:* „საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუად



აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელ მარიამისა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. გუაკურთხენ, მამაო! დეკენბერსა კდ“.

**Jer.23 (XII-XIII), 74r-78v (აღნიშნულია D ლიტერით):** 411 ფ., ძველი ყდა, ყავისფერი ტყავი, ორნამენტების გარეშე; ყდის უკანა ფირფიტა დაკარგულია, აღმოსავლური ქალაქი, რბილი, ქუხი-ყვითელი შეფერილობით; დასაწყისსა და ბოლოში აკლია 2 ფურცელი; ნაწერია ნუსხურით, სათაურები – სინგურით; ორ სვეტად, თითოეულ სვეტში 32 სტრიქონია. ფურცლები ჭიისგან არის შეჭმული. კრებულში ათანასეს ჰომილია (24 დეკემბრის საკითხავი) მოთავსებულია იოვანე ოქროპირის საკითხავს – „შესხმად და ქებად ნეტარისა ფილოლონესი ანტიოქიელ მთავარეპისკოპოსისა“ და უცნობი ავტორის სიტყვას შორის: „ცნობად მიუახლებელსა მას...“ (Blake 1924<sup>1</sup>: 55-57).

*ჰომილიის სრული სათაურია:* „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა. სიტყუად აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისსა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. მამაო, გუაკურთხენ!“

**A-182 (XIII), 128r-138v (აღნიშნულია E ლიტერით):** კრებული, 362 ფ., ქალაქი; რესტავრირებული, ფიცრის ტყავგადაკრული ახალი ყდა; ნაწერია ნუსხურით, შავი მელნით, ერთ სვეტად. სათაურები – სინგურით; გადამწერია იოვანე (14r). კრებულში ათანასეს ჰომილია მოთავსებულია იოვანე ოქროპირის „შესხმად და ქებად ნეტარისა ფილოლონესი ანტიოქიელ მთავარეპისკოპოსისა“ (რომელიც 20 დეკემბრის საკითხავია) და ბასილი დიდის „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ (რომელიც შობისთვისაა განკუთვნილი) საკითხავებს შორის (მეტრეველი 1976: 292, 294). ეს კრებულები, მეტწილად, იმეორებს დანარჩენი ხელნაწერების თხზულებებს.

*ჰომილიის სრული სათაურია:* „თუესა დეკენბერსა კ'დ, წინა დღით ქრისტეშობისა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ათანასე ალექსანდრელისა ეპისკოპოსისა. სიტყუად აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. მამაო, გუაკურთხენ!“

**Jer. 38 (XII-XIII / XIII-XIV), 101r-110v (აღნიშნულია F ლიტერით):** 479 დაუნომრავი ფურცელი; ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად, სათაურები – სინგურით; თითოეულ სვეტში

27 სტრიქონია; გადამწერია მიქაელი (126r). ძველი ყავისფერი ტყავის ყდა, ჭედური შემკულობით, შემორჩენილია საკინძების ნაშთები; ოდნავ მზინავი აღმოსავლური ქალაქი, რომელიც კიდევში ჭიისგანაა შექმული; დასაწყისსა და დასასრულს მოხსენიებულია ელისე და მათეოს ჯევის ჯელი, რომელსაც ხელნაწერი აუკინძავს; გადამწერია მიქაელი. ათანასეს ჰომილია მოთავსებულია ეპიფანე კვიპრელის „მუცლადღებისათვის ანნაძსა“ და ბასილი დიდის „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“ საკითხავებს შორის (Blake 1924<sup>2</sup>: 78-79; მარი 1955: 79-81; ბრეგამე 1988: 208-209).

*ჰომილიის სრული სათაურია:* „წინა დღით ქრისტეს შობისა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუად აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა ღმრთისმშობელისა მარიამისა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. გუაკურთხენ, ო'ო!“<sup>1</sup>

#### I.4. ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისთვის

დასახელებულ ხელნაწერთაგან, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითად ტექსტად აღებულია S-1276 ხელნაწერი, რადგან სავარაუდოდა, პირველად ეფრემის თარგმანი აქ გადაიწერა. ამას ამოწმებს შემდეგი გარემოებები: ნუსხა, სხვებთან შედარებით, მართალია, არა გადაწერის წლის ზუსტი დასახელებით, მაგრამ უძველესადაა მიჩნეული; გადაწერილია ეფრემის წინამძღოლობისას კასტანას მონასტერში, მისივე გარემოცვაში; თავად ეფრემი იყო კრებულის ერთგვარი რედაქტორი. ამის შემდეგ ჰომილია უნდა გადაწერილიყო უძველესად მიჩნეულ ქრონოლოგიურად მომდევნო B კრებულში, რადგან ისიც ანტიოქიურ წარმომავლობას ავლენს, შემდეგ – C ლიტერით აღნიშნულ კრებულში და ასე, ბოლომდე. თუმცა, სამომავლო პალეოგრაფიულმა კვლევამ, შესაძლოა, ახალი ნიუანსები გამოავლინოს და შედარებით ზუსტი სურათი წარმოადგინოს. მაგალითად, სამომავლოდ იგეგმება, ყოველ ხელნაწერში არსებული რედაქტირების კვალის (სტრიქონებზე მიწერილი, ძირითად ტექსტში გამოტოვებული სიტყვებისა თუ ფრაზების მიხედვით) შესწავლით გამოვლინდეს გადამწერთა ხელი, რაც შესაძლებელს

<sup>1</sup> აღნიშნავენ, რომ იერ. 38 მთლიანი შედგენილობითაც ჰგავს ს-1276-ს. ამ შემთხვევაშიც, ორივეგან „გუაკურთხენ უფალს“ წერია, დანარჩენებში კი „გუაკურთხენ, მამაო“ ან „მამაო, გუაკურთხენ“.

გახდის უფრო ზუსტ ვარაუდს, რომელი კრებული რომლისგან შეიძლება იყოს გადაწერილი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ შემთხვევას. მაგალითად, S-1276-ში წერია „მეფისა“, რომელსაც თავზე აწერია „უ“, A-162-შიც ამავე ადგილას წერია „მეფისა“, A-182-ში კი უკვე „მეუფისა“ წერია. სავარაუდოდ, იმ დროს, როცა A-162 გადაიწერა S-1276-დან, ამ სიტყვას თავზე „უ“ ჯერ კიდევ არ ეწერა და ეს სხვა გადამწერმა გააკეთა, რომელმაც თავის ტექსტში სიტყვა უკვე სწორად დაწერა. თუ სამომავლოდ კვლევა აჩვენებს, რომ ამგვარი კორექტურული მინაწერების ხელი ემთხვევა სხვადასხვა გადამწერის ხელს, მაშინ, სავარაუდოდ, დადგინდება ხელნაწერთა გადაწერის ქრონოლოგია და ისიც, რომელი გადამწერი რომელი ხელნაწერით სარგებლობდა.

ხელნაწერებში ჰომილიის სათაურებს თუ დავაკვირდებით, შეიძლება ისინი მსგავსება-განსხვავების მიხედვით დავაჯგუფოთ. მაგალითად, S-1276-ისა და Jer.38-ის სათაურები სრულიად იდენტურია (მხოლოდ ამ ორში წერია „გუაკურთხენ, ო~ო“). გარდა ამისა, მხოლოდ ამ ორ ხელნაწერში სრულდება ჰომილია სამკუთხედი ფორმის დაწერილობით.<sup>1</sup> მათ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ A-162, რომლის სათაური განსხვავებულია ერთადერთი სიტყვით: „გუაკურთხენ, ო~ო-ს“ ნაცვლად „გუაკურთხენ, მ~მო“ წერია.<sup>2</sup> მათგან განსხვავებულია Jer.23-ისა და A-1170-ის სათაურები, განსაკუთრებით კი A-182-ისა.

ტექსტზე მუშაობისას ფიქსირდებოდა შემთხვევები, როცა BCE ხელნაწერები ერთმანეთს უფრო მისდევს. C ნუსხა პერიოდულად ხან – B, ხანაც E ნუსხას ენათესავება, A-ს კი ნაკლებად. მეორე მხრივ, ასეთივე კავშირი იკვეთება ABE ნუსხებს შორის: ხან B მისდევს A-ს, ხანაც E. ABEF ნუსხებში სახელი „იოვანე“ დაქარაგმებულია, როგორც „ი~ე“, ხოლო CD-ში – „ი~ნე“. ხელნაწერთა შორის ამგვარ ორთოგრაფიულ მსგავსებებს I.6. თავშიც მიმოვიხილავთ. ზოგადად კი, ვინაიდან ტექსტებს შორის განსხვავება, ძირითადად, ორთოგრაფიული ხასიათისაა, ამ არგუმენტზე დაყრდნობით რაიმე მყარი დასკვნის გაკეთება მეტად რთულდება.

ხელნაწერთა შორის კავშირის დადგენას სხვა კუთხითაც თუ ვეცდებით, შეიძლება დავაკვირდეთ, ათანასეს ჰომილია ნუსხებში რომელ ავტორებს შორისაა მოთავსებული.

<sup>1</sup> ამ ორ ხელნაწერს შორის განსაკუთრებულ მსგავსებას შედგენილობის მიხედვით შენიშნავს დარეჯან თვალთვაძეც (თვალთვაძე 2009: 56).

<sup>2</sup> ხელნაწერთა სიახლოვესთან დაკავშირებით დამატებით იხ. I.6. თავი, ასიმილაცია.

ABCF კრებულებში ჰომილია ეპიფანე კვიპრელის 9 დეკემბრის საკითხავის შემდეგაა მოთავსებული, DE-ში კი – იოვანე ოქროპირის 20 დეკემბრის საკითხავის შემდეგ. A-ში, როგორც ვთქვით, საკითავთა დღეების მიხედვით განაწილება არეულია, ამიტომ ჰომილიას ბასილი ისავრიელის 24 დეკემბრის საკითხავი მოსდევს, BCEF-ში – ბასილი დიდის „შობისათვის უფლისა“, ხოლო D-ში – უცნობი ავტორის საკითხავი „ცნობად მიუახლებელსა...“

### I.5. ქართული თარგმანის ბერძნული წყარო

ყველა ქართული ხელნაწერი, რომელშიც ჰომილიას – „აღწერისათვის ღმრთისმშობლისა და იოსებისა“ ვხვდებით, ავტორად ათანასე ალექსანდრიელს ასახელებს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდები ათანასეს სახელით მოღწეულ სხვა თხზულებათა ავთენტურობასთან დაკავშირებით, რომელზეც ზემოთ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ აღნიშნული ჰომილიის ავთენტურობის პრობლემურობაზე არც კ. კეკელიძე და არც სხვები არ საუბრობენ.

ქრისტიანულ თხზულებათა უცხოენოვან კატალოგებში, კერძოდ კი „Clavis Patrum Graecorum“-სა (CPG) და „Bibliotheca Hagiographica Graeca“-ში (BHG) ჰომილია ფსევდო-ათანასესეულად არის მიჩნეული (CPG 2269; BHGa 1161k). ასევეა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომში – დამოწმებული ჰომილია ფსევდოათანასესეულადაა მოხსენებული.<sup>1</sup> CPG გვაწვდის დამატებით ცნობასაც, რომ, შესაძლოა, ჰომილიის ავტორი იყოს ტიმოთე იერუსალიმელი, მაგრამ სხვა არგუმენტირებულ ცნობას, თუ რატომ არის ეს ჰომილია ფსევდოათანასესეული და რატომ შეიძლება იგი ტიმოთე იერუსალიმელს მივაკუთვნოთ, ვერ მივაკვლიეთ. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე ქართულ ხელნაწერთა ტრადიციას მივყვებით და ავტორად ათანასეს მივიჩნევთ, ავტორობის საკითხის სიღრმისეულ კვლევას კი სამომავლოდ ვგეგმავთ.

ათანასე დიდის ჰომილიის „აღწერისათვის ღმრთისმშობლისა და იოსებისა“ ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემა არ მოგვეპოვება. მეცნიერულად შესწავლილი, კრიტიკულად დადგენილი და გამოცემულია მისი ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებები,

---

<sup>1</sup> აღნიშნული ნაშრომები: L.M. Peltomaa, *The Image of the Virgin Mary in the Akathistos Hymn*, Brill, Leiden, Boston, 2001; Pauline Allen, *Preacher and Audience, Studies in Early Christian and Byzantine Homiletics*, Brill, Leiden, Boston, 1998, pg. 201-226.

როგორცა: „Vita Antonii“, „Contra Gentes“, „De Incarnatione“, „Apologia contra Arianos“, „De corpore et anima“, „Contra Sabellianos“, თუმცა, მისი მრავალი ეპისტოლისა და ჰომილიის კრიტიკული ტექსტი არ გამოცემულა. სწორედ ამიტომ, ჰომილიის ძველი ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებისთვის გამოვიყენეთ „Patrologiae Graeca“-ს 28-ე ტომში არსებული ტექსტი. მართალია, ამ უკანასკნელს მდიდარი სქოლიოები არ გააჩნია, მაგრამ რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთის წაკითხვათა სხვაობა მაინც ასახულია. ამ სხვაობას, ზოგ შემთხვევაში, ქართული თარგმანი უფრო მისდევს. ამაზე ვრცლად მეორე თავში ვისაუბრებთ.

PG-ს 28-ე ტომში, 943-957 გვერდებზე ჰომილიის ბერძნული და ლათინური ტექსტებია მოთავსებული. ბერძნული სათაურია: „ΤΟΥ ΕΝ ΑΓΙΟΙΣ ΠΑΤΡΟΣ ΗΜΩΝ ΑΘΑΝΑΣΙΟΥ ΕΙΣ ΑΠΟΓΡΑΦΗΝ ΤΗΣ ΑΓΙΑΣ ΜΑΡΙΑΣ, ΚΑΙ ΕΙΣ ΤΟΝ ΙΩΣΗΦ, ΛΟΓΟΣ“, ხოლო ლათინური: „S. P. N. ATHANASII. IN CENSUM SIVE DESCRIPTIONEM SANCTAE MARIAE ET IN JOSEPHUM. SERMO“. ქართულში კი სათაურიდანვე ვხედავთ ჰომილიის ე.წ. „სიტყუადართვით“ თარგმანს: „საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასე აღექსანდრელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუაჲ აღწერისათჳს ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისა და იოსებისთჳს, რომელმან მიითხოვა იგი.“

## I.6. ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მახასიათებლები

ორთოგრაფიული თავისებურებები.

„ა“-ს გამოყენება: სხვა გრაფემებთან შედარებით, A ნუსხის გადამწერი „ა“-ს, უმეტესად, ზუსტად იყენებს იქ, სადაც მოსალოდნელია, ე.ი. ათავსებს სახელების (გარდა ანთროპონიმებისა) აბსოლუტურ ბოლოში, ა, ო, უ ხმოვნებთან სამ ბრუნვაში: სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში, ასევე, პოსტპოზიციურ მართულ მსაზღვრელ-საზღვრულთან [სარჯველაძე 1984: 15-16]. გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შემთხვევა, მაგალითად: „ვინმე არაჲ იტყოდის“, „არაითუ განწყუჭბითა“, „რომლისაჲ დედაჲ“, მსგავსი შემთხვევები EF ხელნაწერებშიც გვხვდება. საბოლოო ჯამში, ექვსივე ხელნაწერში იოტას მცდარი გამოყენების შემთხვევა ძალიან მცირეა. ამ მხრივ მხოლოდ B ნუსხაში ფიქსირდება 10-მდე შეცდომით მეტი.

ხელნაწერებში შევხვდებით რამდენიმე მსგავს დაწერილობას: „სადღუმლოდ“ (B), „უცხო ნაკადულობად“ (C), „ჰურიადსტანად“ (E), „ვინათგან“ (B), როცა სხვა ყველა შემთხვევაში წერია: „ვინათგან“, „შვად ძე“ (B) და ა.შ..

**„წ“-ს გამოყენება:** ყველაზე ხშირად ხელნაწერებში „წ“-ს გამოყენების პრინციპებია დარღვეული, თუმცა ეს, ძირითადად, კონტამინაციური დაწერილობის ხასიათს ატარებს. სხვა მხრივ, იგი უმეტეს შემთხვევაში, მოსალოდნელ ადგილას ზის. გვაქვს ერთი და იმავე სიტყვების როგორც მართებული, ისე არასწორი „ეწ“ დაწერილობები. მაგალითად, A ნუსხის დასაწყისში გადამწერი „უე“ კომპლექსს იყენებს, ხოლო შემდეგ იწყებს უწ-ს გამოყენებას. მაგალითად, დასაწყისში წერს „აჩუნიან დაცადება“ მაშინ, როცა დანარჩენ 5 ხელნაწერში „აჩუნიან დაცადება“ გვაქვს, ხოლო მოგვიანებით ამავე ნუსხაში ვხვდებით „მრავალჟამეულობითი ჩუჭულება“ (66r) დაწერილობას. ექვსივე ხელნაწერში მსგავსი სურათია: „ქუწ“ (BCDEF), „სახუჭველითა“ (BCDEF), „ჩუჭულებისაებრ“ (CD), „ზეწ“ (AF). ზედმეტად რომ არ გადატვირთულიყო, ასეთი შემთხვევები სქოლიოებში არ არის შეტანილი.

**„ჯ“-ს გამოყენება:** „ჯ“ გამოიყენება უმარცვლო „უ“-სა და „ი“-ს შეერთებისას. ტექსტში გვხვდება შემდეგი შემთხვევები: „სიტყვსანი“, „გვტვრთავს“ (C), „ავგსტოს კეისრისაგან“, „ივსო“, „ადმოგვცენოს“, „ამისთვს“ და ა.შ. ძირითადად, „ჯ“ სიტყვების დაქარაგმებისას იკარგება, თუმცა, რიგ შემთხვევებში მაინც ჩანს. ამიტომაც, როგორც მიღებულია, როცა დაქარაგმებული სიტყვა იხსნება, იწერება არა უი არამედ ჯ. განსაკუთრებული შემთხვევები სქოლიოებში არის მითითებული.

**„წ“-ს გამოყენება:** სხვა გრაფემების მსგავსად, „წ“-ს გამოყენებასაც აქვს როგორც კანონზომიერი, ანუ ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი, ისე აღრეული, უადგილო დაწერილობების შემთხვევები. „ხ“ – „წ“ ფონემატური ოპოზიცია ირღვევა, არის ერთი ფონემა „ხ“ და ორი გრაფემა, რაც X საუკუნიდან უკვე ხშირი მოვლენაა [სარჯველაძე 1984: 15-16]. ზოგადად, ძველ ქართულ ენაში ჭირს „წ“ გრაფემის გამოყენების ზუსტი პრინციპების დადგენა, მაგრამ ტექსტებში მოძიებული ფორმების კვლევის შედეგად, დადგენილია გარკვეული კანონზომიერებანი. მაგალითად, იგი გამოიყენება:

✓ ცოცხალ არსებათა ცალკეული ორგანოებისა და მათი მოქმედების გამომხატველ სიტყვებში. ჩვენ მიერ გადმოწერილ ტექსტში გვხვდება სწორი დაწერილობები: კელი, ფერვი, მუკლი, კმაფ, ვენაჯი - გულისკმა-ყავ, განჯორციელებისათა და ა.შ.

✓ გარკვეულ ზმნურ ფორმებში. ტექსტში დასტურდება: გამოკდა, მესნელი, განჰკსნნეს, საკმარებად და ა.შ. [ციხელაშვილი 2018: 22-24]

ხელნაწერებში გვხვდება დაწერილობები: „მოკსენებულისა“, „გელმწიფებისაგან“, „განჯუებად“, „ჯელ-ეწიფების“, „მუკლთმოდრეკით“, სამჯედროდცა, ჯუმევითა.

**„ო“-სა და „უ“-ს მონაცვლეობა:** ასომთავრული დამწერლობის შემდეგ, რომელშიც ბერძნულის გავლენით „უ“ ფონემას ორი გრაფემით (O (ო) + V (ვიე)) გამოსახავდნენ, რაც ხშირად იყო ო-სა და უ-ს აღრევის მიზეზი, ნუსხურ ანბანზე გადასვლისას ეს დაწერილობა პრობლემურად დარჩა. კერძოდ, მიიღო შემდეგი სახე (ო+უ) და რადგან ნუსხური „უ“-ც სწორედ ამ გრაფემათა გადაბმით ჩაიწერება კვლავ ხშირად ფიქსირდებოდა „უ“-სა და „ო“-ს არასწორი გამოყენება: იქ, სადაც უნდა იყოს „ო“, გვხვდება „უ“ და პირიქით.

ათანასეს ჰომილიის თარგმანში ფიქსირდება შემდეგი შემთხვევები: ნაცვლად მუშაკობისა - „მოშაკობისა“ (ACEF), „მიმთხუელად“ (F) ნაცვლად დაწერილობისა მიმთხოველად, „ო<sup>~</sup>ისსა“ (CDEF) ნაცვლად უფლისა, „შეომწიკულებელად“ (B), „მეგოპტელისა“ - მეგვპტელისა (B), „საუცრად“ (F) - საოცრად.

### **ფონეტიკური თავისებურებები.**

**რეგრესული ასიმილაცია:** „სჯ“ - „შჯ“ თანხმოვანთა მონაცვლეობა: ხელნაწერები „სჯ“ - „შჯ“ ასიმილაციის თვალსაზრისითაც შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. ფიქსირდება შემდეგი ნიმუშები: „შჯულთა“, „შჯულიერთა“, „შჯულისმდებელი“, „თჯთშჯულობა“, „უმშჯავროდთა“, „დაშჯისა“, „სამშჯავროსა“ და ა.შ. ყველა ფორმაში, რომლებიც „სჯულისა“ და „მსჯავრისგანა“ ნაწარმოები, ABF ხელნაწერებში<sup>1</sup> „ს“-ს ნაცვლად „შ“

<sup>1</sup> წინა თავებში სხვა ფაქტებზე დაყრდნობითაც უკვე გამოვთქვით ვარაუდი ამ ხელნაწერების განსაკუთრებულ სიახლოვესთან დაკავშირებით, იხ. თავი I.4.

წერია, ხოლო დანარჩენ, CDE ნუსხებში, იმავე სიტყვებში „ს“ თანხმოვანია გამოყენებული: „დასჯისა“, „სამსჯავროსა“, „სჯულისმდებელი“ და ა.შ.

**ხმოვანთა ასიმილაცია,** ზოგადად, ხშირი მოვლენა არ არის. დასახელებულ ხელნაწერებშიც მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება: „ღმრთეებისა“.

### **დისიმილაცია.**

**ბგერის კარგვა:** ტექსტში ფიქსირდება ხმოვანთა შორის ვინის კარგვის რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, „ვჰჰოებ“ – ნაცვლად ფორმისა „ვჰჰოვებ“, ასევე „ვიპოო“<sup>1</sup>, „ვისწაოთ“ – „ვისწავოთ“<sup>2</sup>, „განეგებოდეს“ (ABDEF) – „განეგებოდის“ (C), „მზაკუვარებითა“ (ABDEF) – „მზაკუვარებითა“ (C), „მითხოვილი“ (CDE) – „მითხოილი“ (ABF), „მიმთხოველო“ (ABEF) – „მიმთხოელო“ (CD), „უპატიო“ (ABCDF) – „უპატივო“ (F), „იჭუნეულ“ (B) – „იჭუნულ“ (ACDEF). გვხვდება ბგერის კარგვის ერთი ასეთი შემთხვევაც: „ადგიდ-ადგიდ“, „ქრისტესშობა“ – „ქრისტეშობა“ (სათაურში).

### **მორფოლოგიური მახასიათებლები.**

**კუმშვა:** ხელნაწერებში გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის ბრუნვის ნიშნის დართვით შეკუმშული და შეუკუმშველი და ასევე გადამწერის არჩევანით შეპირობებული შემდეგი ფორმები: „წინამძღუარსა“ (ACDEF) – „წინმძღუარსა“ (B), „დაუწყნარებლობითა“ (ABCDE) – „დაუწყნარებლობითა“ (F), „ბეთლემდ“ (ACDEF) – „ბეთლემად“ (B), „განმიძარცვეს“ (ABD) – „განმიძრცვეს“ (F), „ნაცვალად“ (ACDEF) – „ნაცვლად“ (B).

**პირის ნიშნების გამოყენება:** S<sub>1</sub> და O<sub>3</sub> პირის ნიშნების სინთეტური გამოყენების შემთხვევებია: „ვჰჰოფთ“, „ვჰჰოებ“, „შევჰჰადრო“ (ევესივე ხელნაწერში). გვხვდება შემთხვევები, როცა ერთგან წერია „ჰხედავ-ა“, ხოლო იგივე ზმნა მოგვიანებით „ხედავ-ა“.

**ზმნისწინის გამარტივება:** „აღმქუმელ“ (BE) – „ამქუმელ“ (ACDF).

**ე-R-ებ-ი და ი-R-ებ-ი სტრუქტურის ზმანათა მონაცვლეობა:** წინამდებარე ნაშრომში იმ ზმნურ ფორმებისთვის, რომლებსაც წინ უძღვით ე-, ან ი- პრეფიქსი (ტრადიციულად მიჩნეული გვარის კატეგორიის ნიშნად), გამოყენებულია დ. მელიქიშვილის მიერ

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ A-162 ხელნაწერში წერია „ვიპოო“ და სიტყვას თავზე მიწერილი აქვს „ვ“, როგორც ჩანს ვილაცას შეუსწორებია.

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ დისიმილაციის ეს შემთხვევებიც მხოლოდ წმიდა წერილის ციტირებისას ფიქსირდება.



შემოთავაზებულ აღნიშვნები ე-/ი-R-ი, სადაც R აერთიანებს ზმნის ძირსა და თემატურ ნიშანს (მელიქიშვილი 2014: 40). ამდენად, არ შევჩერდებით ე-/ი- ფორმათა კვალიფიკაციის პრობლემაზე და მხოლოდ აღვნიშნავთ მათ ფაკულტატიურ მონაცვლეობას ხელნაწერთა მიხედვით, მაგალითად: „განეწესების“ (ABE) – „განიწესების“ (CDF), „განეგების“ (ABDEF) – „განიგების“ (C).

**ქცევა:** „აღასუბუქებდა“ (ABCDF) – „აღუსუბუქებდა“ (E), „თანა-მიყვანებდა გონებასა“ (ABDEF) – „თანა-მიყვანებდა გონებასა“ (C), „წარვწყმიდე“ (ACDF) – „წარვიწყმიდე“ (BE), „იზმნობენ“ (ABE) – „აზმნობენ“ (CDF).

**გადამწერი ირჩევს ერთგვარ სტილს:** ხელნაწერთა შორის ჩანს ფორმათა იმგვარი ცვალებადობა, რომელიც გრამატიკულად არ არის შეპირობებული და შეიძლება ითქვას, ეს არის გადამწერისეული ერთგვარი სტილი. ასეთია, მაგალითად „ნნ“-კომპლექსის გამოყენება, რაც ხუთ ხელნაწერში ერთნაირად გვხვდება, მაგალითად: „განიკუთნა“, „იქმნეს“, „იქმნა“ და ა.შ. მხოლოდ C ხელნაწერის გადამწერი არიდებს თავს ამგვარ ფორმებს და მათ ნაცვლად წერს: „განიკუთნა“, „იქმნეს“, „იქმნა“. ასეთივე ვითარებაა „სასა“ „სსა“ დაწერილობის შემთხვევაში. თუ ხუთი ხელნაწერი ირჩევს ფორმებს: „სიკუდილისასა“, „საიდუმლოდსასა“, C ხელნაწერში წერია: „სიკუდილისსა“, „საიდუმლოდსსა“ და ა.შ.

**მცდარი დაწერილობები:** ხშირია შემთხვევები, როცა გადამწერს ეშლება ამა თუ იმ სიტყვის დაწერილობა. ასეთი ფორმებია: „წოდებად“ – „ლოდებად“ (B), „მცირეთა“ – „მცერეთა“ (C), „უმაცარ“ – „უმეცარ“ (C), „წარგრაგნა“ – „წარგრანა“ (C). ამგვარი ფორმების სიმრავლე, ძირითადად, C ნუსხას ახასიათებს.

**კითხვითი ნაწილაკი „ა“:** „ა“ ნაწილაკი ძველ ქართულში ხშირი მოვლენაა და ცალსახად კითხვის გამომხატველია. იგი დაერთვის ზმნის პირიან ფორმებს (სარჯველაძე 1997: 160), რომელთაგან ჰომილიაში დასტურდება: „ჰხედავ-ა“?, „ხარ-ა“?, „დამასაჯებ-ა“?, „განიცდი-ა“?, „გულისცმა-ჰყოფ-ა“?, „იხილე-ა“?. აქ საინტერესოა E ხელნაწერის გადამწერის გადაწყვეტილება, არ დასჯერდეს ერთ ნაწილაკს, რის გამოც იგი აორმაგებს მას: „ხარ-აა“? „დამასაჯებ-აა“? „ხედავ-აა“?

**ტექსტის ლექსიკა, თხრობის ენა და სტილი:** თარგმანი მრავალფეროვანი არქაული ლექსიკითა თუ რთული საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიით არ გამოირჩევა. არ




ახასიათებს რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რაც შინაარსს მარტივად გასაგებს ხდის. თხრობა დინამიკურია. მთარგმნელი ცდილობს ბერძნულში არსებული რიტორიკული სტილის შენარჩუნებას, მხატვრული ხერხების სათანადო გადმოღებას. ბერძნულ ტექსტში თხრობას შინაგანი დინამიკა, რიტორიკული ხერხების სიუხვე და ერთგვარი რითმა ახასიათებს. ეფრემი მის შენარჩუნებას ცდილობს, რაც შესანიშნავად გამოსდის. მოვიყვანთ ერთ მონაკვეთს:

„Εἰ γὰρ καὶ μικρὰ ἐν προοιμίῳις τὰ **ρήματα**,  
ἀλλ' ὁμᾶς **μεγάλα** τῆς **χαρμῆς** τὰ  
**μυσταγωγήματα**.“

„დადაცათუ მცირე არიან შესავალნი  
**სიტყვანი**, გარნა ეგრეთცა დიდვე არიან  
მადლნი სახარულოვანნი ამის  
საიდუმლოდსანი


### I.7. პუნქტუაცია და პირობითი ნიშნები

**წერტილი:** ექვსივე ნუსხაში გვხვდება წერტილი (.), ორწერტილი (:), სამწერტილი (:.), იშვიათად წერტილმძიმე (;), მძიმე და ორწერტილი (:) და მძიმე და სამწერტილი (:.). ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ AF ნუსხები ამ მხრივ ზედმიწევნით მისდევენ ერთმანეთს - F ხელნაწერში თითქმის ყველგან, სადაც A ნუსხაში, წერია წერტილი, ორწერტილი თუ სამწერტილი. ამასთანავე, მათში წერტილი და ორწერტილი, დაახლოებით თანამედროვე მძიმის ფუნქციით გამოიყენება, სამწერტილი კი, ზოგ შემთხვევაში, დაახლოებით, თანამედროვე წერტილს შეესაბამება, ხანაც რამდენიმე წინადადებისგან შედგენილი, დასრულებული აზრის ბოლოს დასმის. აზრების ბოლოს წერია ოთხწერტილებისა და სამწერტილების წყება (:· :· :· :·). დანარჩენ ხელნაწერებში მათი გამოყენება არაკანონზომიერია და არც იქ ზის, სადაც AF ხელნაწერებშია დასმული.





S-1276

**მძიმე:** A ნუსხის იმ ფურცლებზე, რომლებზეც ათანასეს ჰომილიაა გადაწერილი, მძიმეს იშვიათად ვხვდებით. შედარებით ხშირი და უფრო მეტად ფუნქციურია მისი გამოყენება B ნუსხაში.




A-162

**ინტონაციური მახვილი:** როგორც ითქვა, ჰომილია მდიდარია რიტორიკული ხერხებით. ერთ-ერთი ასეთი ხერხია რიტორიკული ოპოზიციები, რომლითაც ავტორი ერთმანეთთან აპირისპირებს ღმრთის ზეციურ დიდებასა და მის განკაცებისშემდგომ სიმდაბლეს. A ხელნაწერში ამ ადგილას სიტყვაზე „ზე“ გვხვდება ინტონაციური მახვილი: „ვის-მე არა დაუკვირდებოდის სიმდაბლით გარდამოსლვად უფლისად, ზეცას თავისუფლისად და ქუეყანასა ზედა აღწერილისად?! ზე' – ძისად და ქუე – მონისად, ზე' – მეუფისად და ქუე – სასყიდლით დადგინებულისად, ზე' – მდიდრისად და ქუე – მოქენისად“ რომელსაც, სავარაუდოდ, ის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რომ მრევლის წინაშე კითხვისას მკითხველს ხმა უნდა აემაღლებინა. ასეთივე მახვილება გამოყენებული დანარჩენ ხუთ ხელნაწერშიც. უნდა აღინიშნოს, რომ A-სთან შედარებით ასეთი ინტონაციური მახვილები მათში უფრო ხშირად გამოიყენება.




**მახვილი კითხვით სიტყვებში:** ინტონაციური მახვილები გვხვდება „ა“ კითხვით ნაწილაკზე: „არა შენ ხარ-ა' მარიამ, რომელსა-ეგე აღვითქუამს...“ მეტ-ნაკლები სიუხვითა და სიზუსტით ასეა ექვსივე ხელნაწერში.



ხელნაწერებში მახვილი უზის კითხვით სიტყვებსაც: „ვი'ნმე არა იტყოდის, ვი'სმე არა დაუკვირდებოდის სიმდაბლით გარდამოსლვად უფლისა.“

**გრაფემათა შეერთება:** როგორც ჩანს, F ნუსხის გადამწერს ვერ გაუგია ერთ წინადადებაში რატომ წერია სიტყვა ქმნისა: „რაქამს ქალწული საგონებელ იყოს მითხოილად ქმრისა და რადთა არა უწინარეს ქმნისა გამოსაძიებელ ვისსამე იყოს.“ ამ ადგილას გრაფემა ისეა დაწერილი, რომ „ქმრისა“ წაკითხვაც შეიძლება და „ქმნისაც.“



## თავი II. ბერძნული დედნისა და ქართული თარგმანის ურთიერთმიმართება

### II.1. ჰომილიის მთარგმნელი – ეფრემ მცირე და მისი მთარგმნელობითი მეთოდი

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი. როგორც ითქვა, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა ორ პერიოდად იყოფა – პრეელინოფილურად და ელინოფილურად. ზოგადად, ეფრემ მცირის დამსახურებაა პირველი ფილოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება ქართულ მთარგმნელობით საქმიანობაში. მან, ერთგვარად, შეაჯამა წინარე ლიტერატურული პროცესები და შეიმუშავა პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც მთარგმნელობითი საქმიანობა, მწიგნობრობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. თავდაპირველად ისიც, როგორც ათონელი მამები, ცდილობდა მკითხველზე ორიენტირებული თარგმანი შეექმნა, მაგრამ მოგვიანებით, XI საუკუნის 90-იანი წლებიდან მიდგომები შეცვალა და თარგმანის სიზუსტე წინა პლანზე დააყენა.

თავდაპირველად, ეფრემ მცირე მთარგმნელობით მეთოდს სათარგმნი ტექსტის ხასიათის მიხედვით ირჩევს. ცდილობს, რთული და უცხო ტექსტი მკითხველს მოარგოს, სიფრთხილით თარგმნოს, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ბერძნებს გაუკრიტიკებიათ ქართული თარგმანები. უთქვამთ, რომ ქართველულად სათანადო სიზუსტით არ იყო ნათარგმნი ისეთი დიდი ავტორიტეტების თხზულებები, როგორებიც იყვნენ: ბასილი დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და სხვები. ამის შემდეგ, ეფრემმა ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნა გრიგოლ ღმრთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვა და მიზნად ბერძენთა ბრალდებების გაქარწყლება დაისახა. თარგმანებზე დართულ კოლოფონებში აშკარად ჩანს ეფრემის თავის მართლების ტონი, რომ ქართველებს ზუსტი თარგმანების შესრულებაც შეუძლიათ (ოთხმეზური 2011: 21-23).

ვიდრე ეფრემი ტექსტის თარგმნას შეუდგებოდა, მანამ საკმაოდ შრომატევად ფილოლოგიურ კვლევას ატარებდა რამდენიმე მიმართულებით: აგროვებდა ცნობებს, იყო თუ არა ტექსტი ქართულად თარგმნილი, ვინ იყო თხზულების ავტორი, ორიგინალი იყო თუ არა სათარგმნი ენა, რომელი ნუსხებით უნდა ესარგებლა და ა.შ. (ჯუღელი 2011:

355). სწორედ ამიტომაც, ჰომილიის ავტორის პრობლემის კვლევა კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს.

შავ მთაზე შექმნილი ამგვარი რთული ვითარებისა და ბრალდებების ფონზე, ეფრემმა მთარგმნელობითი პრინციპები კიდევ უფრო დახვეწა და დაუახლოვა ბერძნულ დედანს. ეს გამოიხატა ბერძნულისადმი ტერმინოლოგიურ, სინტაქსურ, გრამატიკულ სიახლოვეში. თუ ადრე ბერძნულისთვის ბუნებრივ, მიმდებარე და ინფინიტივურ კონსტრუქციებს ქართულისთვის ბუნებრივი, აქტიური, ზმნის პირიანი ფორმებით თარგმნიდნენ, თანდათან ქართულ თარგმანში მიმდებარე ფორმები გახშირდა, დაიხვეწა და ბევრად მოქნილი გახდა სიტყვაწარმოება. თუმცა, ეფრემის თარგმანები მაინც არ არის ისეთი ულტრაელინოფილური, როგორც გელათური სკოლის წარმომადგენლებისა (ჯუღელი 2011: 355).

ამ მხრივ, საკვლევი ტექსტი ეფრემის მთარგმნელობითი ეტაპების ერთგვარი შუალედური პერიოდის ნიმუშს წარმოადგენს.

## **II.2. ბერძნულ დედანსა და ქართულ თარგმანს შორის არსებული სხვაობანი**

როგორც პირველ თავში აღინიშნა, ჰომილიის ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარების შედეგებზე დაყრდნობით, ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდის შესახებ მყარი დასკვნების გამოტანას ართულებს კრიტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტის არარსებობა. PG-ს 28-ე ტომში არსებული ტექსტის სქოლიოები მწირ სამეცნიერო აპარატს გვთავაზობს (თუმცა, ეს იკითხვისები, რიგ შემთხვევებში, მაინც სასარგებლო აღმოჩნდა). მიუხედავად ამისა, ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარებამ აჩვენა, რომ თარგმანი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ დედანს, შინაარსი ზუსტადაა გადმოტანილი, საქმე არ გვაქვს რედაქციულ ან სხვა სახის მნიშვნელოვან სხვაობებთან. გამონაკლისია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როცა მთარგმნელი მცირე ოდენობით, შინაარსი უფრო გასაგები რომ გახადოს, ამატებს, აკლებს, ინტერპრეტაციას უკეთებს ტექსტს, სხვადასხვაგვარად თარგმნის ამა თუ იმ ტერმინს და ა.შ. რადგან ზოგ შემთხვევაში ქართული თარგმანი ბერძნული გამოცემის იკითხვისებს უფრო მისდევს, აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მაგალითი კლებისა, მატებისა თუ სხვა, შეიძლება არ

უკავშირდებოდეს ეფრემის მთარგმნელობით მეთოდს, არამედ სხვა, ჯერ უცნობ ბერძნულ ხელნაწერს მისდევდეს. ქვემოთ წარმოგიდგენთ თემატურად დაჯგუფებულ მაგალითებს:

## მატება

ეფრემ მცირეს ზოგი სტრიქონი თუ ტექსტის მცირე მონაკვეთი არა სიტყვასიტყვით, არამედ მცირეოდენი სინტაქსური სხვაობითა თუ ინტერპრეტაციით გადმოაქვს, რასაც თავად „სიტყუადართვით“ თარგმნას უწოდებს. ამით წინამდებარე ჰომილიის ეფრემისეული თარგმანი უფრო ახლოს დგას ათონურ თარგმანებთან, ვიდრე XI საუკუნის 90-იანი წლების შემდგომი პერიოდის, ელინოფილური ხასიათის საკუთარ თარგმანებთან. ანდერძ-მინაწერებში ეფრემი თავადვე აცხადებს, რომ ტექსტს არ ავრცობს და, თუ მაინცდამაინც საჭიროება მოითხოვს, ჩანართებსა და კომენტარებს არა ტექსტში, არამედ აშიებზე წერს: „ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიტყვსაჲ რეცა განმაცხადებელად ძალისა... რადთა წმიდისა სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებელად და შეუხებელად ვსთარგმნო და უკუეთუ რადმე ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა თავსა წიგნისასა დავწერო“ [რაფავა 1976: 67]. საკვლევ ჰომილიაშიც სწორედ ამგვარი, „ძალისა განმაცხადებელი“ ჩანართები გვხვდება, მაგრამ არა აშიებზე, არამედ ტექსტში. ეფრემი თარგმნისას მკითხველს ითვალისწინებს და ცდილობს, შინაარსი მაქსიმალურად გასაგები გახადოს.

ჰომილიის სათაურშივე ჩანს, რომ მთარგმნელობითი მეთოდი უფრო დინამიკურ-ეკვივალენტურია, ვიდრე ფორმალურ-ეკვივალენტური. უმეტეს შემთხვევაში, სათარგმნ ერთეულად აღებულია არა ცალკეული სიტყვა ან სინტაგმა, არამედ უფრო მსხვილი ერთეულები – წინადადება და მცირე შინაარსობრივი მონაკვეთი.

<p>ΤΟΥ ΕΝ ΑΓΙΟΙΣ ΠΑΤΡΟΣ ΗΜΩΝ ΑΘΑΝΑΣΙΟΥ ΕΙΣ ΑΠΟΓΡΑΦΗΝ ΤΗΣ ΑΓΙΑΣ ΜΑΡΙΑΣ, ΚΑΙ ΕΙΣ ΤΟΝ ΙΩΣΗΦ, ΛΟΓΟΣ.</p>	<p>საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასე ალექსანდრელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუაჲ აღწერისათჳს ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	მარიამისა და იოსებისთვის, რომელმან მიითხოვა იგი. <sup>1</sup>
οὐ πρότερον τῆς ἐρεῦνης παυσώμεθα, ἕως οὗ τὸν προκείμενον πλοῦτον γνησίως ἀναλεξώμεθα.	არა დავსცხრებით ძიებისაგან პირველვე შეკრებადმდე ჩუენდა წინამდებარისა ამის სიმდიდრისა, რაათა ჯეროვნად განვიკუთნოთ იგი.
Ἦς γὰρ πρὸς τὴν δύναμιν τοῦ γεννηθέντος Δεσπότης μικρὰ καὶ σφόδρα μικρὰ τὰ παραναγνώσθέντα, σπάργανα, καὶ φάτνη, καὶ τόπος <u>ἀνεπιτήδειος</u> .	რამეთუ ამას ჩუენცა ვიტყვით, ვითარმედ შემსგავსებულად ძალისა შობილისა ამის მეუფისა მცირე არიან, და ფრიადცა მცირე აღმოკითხულნი ესე სიტყუანი. და უფროდსა მათთვის, რომელთა გარეწარად აღმოკითხნენ სახუეველნი და ბაგაა და უღონოებად სავანისა და არაქონებად ადგილისა.
Καὶ ταῦτα μὲν μικρὰ, τὰ δὲ προκείμενα μυστικά· γαστήρ ἀνερμήνευτος, κόλπος ἀκατάληπτος, <sup>2</sup> μαζὸς ἀγιόριζος, γάλα ξενοῦρβες, θηλή τῆς φυσικῆς νομῆς ἀλλοτρία, ἡ Μήτηρ τοῦ Κυρίου ἐναπόγραφος γενομένη, ὁ μνηστήρ Ἰωσήφ ὀνόματος, καὶ οὐ πρᾶγματος κοινῶν ἀσπαζόμενος	გარნა დაღაცათუ ესე ყოველნი მცირე არიან, არამედ ფრიად დიდებულ არს მათ მიერ აღსრულებული იგი საიდუმლოდ, გამოუკულებელობაა წიაღთა ქალწულისათა და შეუხებელობაა ძუძუთა დაუკლებელად მაწოვნებელისათა, უცხო ნაკადულობა იგი სძისა და დედაკაცი ზემთა ქმნული შჯულთა ბუნებისა, აღწერილთა თანა

<sup>1</sup> სათაურიდანვე ეფრემი მკითხველს დაწვრილებით უსახელებს როგორც ავტორის ვინაობას, ასევე ჰომილიის შინაარსს. როგორც აღინიშნა, ბერძნული დედნის კრიტიკული ტექსტის არარსებობის გამო, მთარგმნელობით მეთოდზე საუბარი, ხშირ შემთხვევაში, რთულია. ბერძნული სათაურის ერთ-ერთი იკითხვის ასეთ წაკითხვას გვთავაზობს: „τῆς ὑπεραγίας γενήσεως τοῦ Κυρίου καὶ Θεοῦ καὶ Σωτήρος ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ“ (PG. t. 28, 944). მართალია, ეს წაკითხვა ქართულ თარგმანს არ უკავშირდება, მაგრამ, შესაძლოა, ხელნაწერი, რომლითაც ეფრემი სარგებლობდა და რომელიც დღეისთვის უცნობია, სხვა წაკითხვას გვთავაზობდა.

<sup>2</sup> სავარაუდოდ, ამ ორი შესიტყვებიდან ეფრემი ქმნის ერთს ან მის ხელთ არსებულ ბერძნულ ხელნაწერში ეს ადგილი სხვაგვარად იკითხებოდა.

	<p><b>შერაცხვად</b> ღმრთისა დედისაჲ და მიმთხოულად მისისა წოდებაჲ იოსებ <b>მართლისაჲ</b> არათუ ზიარებითა საქმისაჲთა, არამედ ჩემებითა ხოლო სახელისაჲთა.</p>
<p>Ὁ Κύριος ἐκσυφορεῖτο, καὶ πρώτη ἀπογραφὴ ἐνομοθετεῖτο ὁ πᾶσαν τὴν κτίσιν ἐναπόγραφον ἔχων.</p>	<p><b>რამეთუ დაღაცათუ დაესაჯების სიმცირე სიტყუათა, არამედ უფალი მუცლად-იღებვის და პირველი აღწერად შჯულისდებად განეწესებვის. ეჰა, საკვრველი, ვითარ რომელსა ყოველნი დაბადებულნი აღწერილად ჰქონან.</b></p>
<p>ὁ πάντα φέρων, ἀνερμηνεύτως ἐφέρετο; ὁ μηδαμοῦ ἀπολιμπανόμενος ἐν μέρει ἀπεριγράπτως περιγραφόμενος.<sup>1</sup></p>	<p>გამოუთარგმანებელად მიმოიყვანების მმართველი იგი და მყვანებელი ყოველთაჲ და ყოველთა შორის დაუკლებელი კერძოსა ადგილთასა შეუსაზღვრებლად გარეშეიწერების.</p>
<p>οὐχ ἀπλῶς τὸ τῆ τοῦ Αὐγούστου ἀπογραφῆ προσκληθῆναι· πάντα διὰ τὶ, καὶ πρὸς τὶ, καὶ αἰνιγματώδη.</p>	<p><b>და თვთ მებრვე ავსტოსისმიერი ესე აღწერად; არავე ლიტონ არს და შემოკრებაჲ იგი ერისაჲ; არა ამაო არს, არამედ ყოველივე – გამოსაძიებელ, ყოველივე – იგავ და რადობასა და რაჲსათვსობასა მიდევნებულ.</b></p>

<sup>1</sup> ეს ფრაზა ლაკონიურობით განსაკუთრებულად გამოირჩევა, ამიტომ ეფრემი მას აზუსტებს და ავრცობს, რითაც აადვილებს შინაარსის გაგებას.



## კლება

ფიქსირდება შემთხვევები, როცა რამდენიმე ლექსიკური ერთეული თარგმნილი არ არის.

მართალია, უთარგმნელად რამის დატოვება ეფრემის მთარგმნელობითი პრინციპებისთვის მიუღებელია („არცა ჯერჩინებით და ნებსით უთარგმნელი სიტყუა დავაგდო“) და შეიძლება ამგვარი კლება ისევ და ისევ მის ხელთ არსებული ხელნაწერის სპეციფიკით აიხსნებოდეს. ამიტომ შედარებისას გამოვლენილი ნაკლები ლექსიკური ერთეულები ქვემოთ არის წარმოდგენილი. მატებასთან შედარებით, ასეთი შემთხვევები უმნიშვნელოა.

καὶ οὐ κατόπιν ὀδεύουσι, μὴ πρότερον τὸν τόπον ἀμείβοντες, ἕως οὗ τὸν <b>φωλεὸν</b> τοῦ προκειμένου καταλάβωσι. <sup>38</sup>	და არცა ერთი რაღა აჩუენიან დაცადებად სრბისაჲ, არცა თავს-იდვიან სხუად ცვალებაჲ ადგილისაჲ, ვიდრემდის შემძლებელ იქმნიან მიმთხუევად საუნჯეთა, <sup>39</sup> წინაშე მათსა მდებარეთა.
καὶ τῶν δύο ζώων <b>τροφή</b> γένηται· ποίων δύο ζώων.	შორის ორთა მათ ცხოველთა, საცნაურ იქმნა.
μόνον ὁ Κύριος κατεδέξατο <b>ἐπὶ γῆς</b> τὸ παρθενικὸν οἰκῆσαι παλάτιον.	გარნა მოწვენასავე თანა უფლისასა და დავანებასა ქალწულებრივსა მას პალატსა შინა.
Ὡσπερ γὰρ ἐν οὐρανῷ μία <b>ἡ τοῦ Θεοῦ βασιλεία</b> κρατεῖ.	რამეთუ ვითარ-იგი ზეცას ერთი ოდენ იპყრობს მთავრობასა მრავალთასა,
Διὰ ταύτην οὖν τὴν εὐταξίαν ἢ ἐπὶ Αὐγούστου <b>Καίσαρος</b> πρώτη ἀπογραφὴ ἐνομοθετεῖτο.	ამის ესევითარისა კეთილისა წესიერებისათჳს იქმნა პირველი იგი აღწერაჲ აგუსტოსის ზე.

<sup>38</sup> ამ მონაკვეთში ვხვდებით როგორც კლებას, ისე მატებას.

<sup>39</sup> აქ ეფრემი ერთ ცნებას მეორეთი ანაცვლებს.

## ერთი სიტყვის თარგმნა ჰენდიადისით

თარგმანში ფიქსირდება შემთხვევები, როცა ერთი ბერძნული სიტყვა ორი სინონიმური შინაარსის მქონე სიტყვითაა გადმოცემული. ამ მეთოდით ბერძნული სიტყვის რამდენიმე, ნიუანსობრივად განსხვავებული, სინონიმური მნიშვნელობა ხაზგასმული. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია შემდეგი შემთხვევები:

1. „τόπος ἀνεπιτήδειος“ – „უღონობაჲ სავანისაჲ და არაქონებაჲ ადგილისაჲ.“ როგორც ვხედავთ, აქ საქმე ორმაგ ჰენდიადისთან გვაქვს. ერთი მხრივ, „τόπος“ თარგმნილია, როგორც „სავანისაჲ“ და „ადგილისაჲ“, ხოლო მეორე მხრივ, „ἀνεπιτήδειος“ – როგორც „უღონობაჲ“ და „არაქონებაჲ“. ამ უკანასკნელით ხაზგასმულია ორი ფაქტი: 1. რომ ღმრთისმშობელს არ მოეპოვებოდა მშობიარობისთვის სათანადო ადგილი („არაქონებაჲ“) და 2. საბოლოოდ, სადაც შვა, შეუსაბამო იყო ქრისტესთვის („უღონობაჲ“).

2. „Ὁ λῶαν ἐδέδετο“ – „შეიხუევის და შეიკრვის მცხნელი.“ ზმნა „δέω“ ლ. კვირიკაშვილის „ბერძნულ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც: ვკრავ, ვუხვევ, ვკრავნი [კვირიკაშვილი 2003: 235]. ამ ჰენდიადისით გამდაფრებულია შინაარსი, რომ ყოველთა მხსნელი შეიხვია და შეიკრა.

3. „Αὕτη γὰρ ἡ ἀπογυαφὴ τῆς οἰκουμένης εὐταξίας ἀρραβῶν γεγένηται“ – „რამეთუ ესე აღწერაჲ ექმნა ყოველსა სოფელსა მიზეზ წესიერებისა და წინდ განწესებულებისა“. ამ წინადადებაშიც ჩანს ორმაგი ჰენდიადისი. „εὐταξίας“-ს შესატყვისებია: „წესიერებისა“ და „განწესებულებისა“, ხოლო „ἀρραβῶν“-ისა: „მიზეზ“ და „წინდ.“

4. „Εἰ γὰρ καὶ μικρὰ ἐν προοίμοις τὰ ρήματα, ἀλλ' ὅμως μεγάλα τῆς χάριτος τὰ μυσταγωγήματα“ – „რამეთუ დაღაცათუ მცირე არიან შესავალნი სიტყვსანი, გარნა ეგრეთცა დიდვე არიან მადლნი სახარულოვანნი ამის საიდუმლოდსანი.“

## მიმღეობების გადმოტანა

მიმღეობების ხშირი გამოყენება ბერძნულისთვის ბუნებრივი მოვლენაა, რასაც ქართულ ენაზე ვერ ვიტყვით. ქართულისთვის ზმნის პირიანი ფორმებია ბუნებრივი.

ჰომილიის ქართულ თარგმანისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი სწორედ მიმღობათა პირიანი ფორმებით ჩანაცვლებაა. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა:

τὸν εὐαγγελιστὴν Λουκᾶν μετὰ χειρᾶς ἔχοντες.	ვინაფთვან ჯელთა შინა ჩუენთა გვპყრიეს მახარებელი ლუკა.
ὁ πᾶσαν τὴν κτίσιν ἐναπόγραφον ἔχων.	რომელსა ყოველნი დაბადებულნი აღწერილად ჰქონან.
Δεσμὰ δεσμοῖς λύνων.	საკრველითა საკრველთა დაჰქსნის.
Τὸν Κύριον κρατήσαντες.	შეიპყრეს უფალი
θανάτῳ παραδοῖναι σπεύδοντες.	წადიერ იყვნეს სიკუდიდ მიცემასა მისსა,
τοὺς Ἰουδαίους κυνογλασσοῦντας.	იხილა, ვითარ ერთ ენა იყვნეს ჰურიანი. <sup>40</sup>
φάσκων	ეტყოდა
ἀκρασίᾳ κρατοῦντες τὸν δίκαιον.	უწესობით შეიპყრობთ მართალსა.

## რიცხვის ცვლილება, მრავლობითის გადმოტანა მხოლობითით და პირუკუ

ხშირია შემთხვევები, როცა ბერძნულ დედანში არსებულ სიტყვებს ქართულ თარგმანში მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ცვლის. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა:

1. „Εἰ γὰρ καὶ μικρὰ ἐν προσιμίῳις τὰ ῥήματα, ἀλλ' ὁμᾶς μεγάλα τῆς χάριδος τὰ μυσταγωγήματα“ – „რამეთუ დაღაცათუ მცირე არიან შესავალნი სიტყვსანი, გარნა ეგრეთცა დიდვე არიან მადლნი სახარულოვანნი ამის საიდუმლოდსანი.“ ერთ წინადადებაში რიცხვის ცვლილების რამდენიმე შემთხვევაა: „τὰ ῥήματα“ – „სიტყვსანი“, „τῆς χάριδος“ ჰენდიადისით და მრავლობითითაა გადმოცემული, ხოლო მრავლობითში მდგომი „τὰ μυσταγωγήματα“ – მხოლობითში.

<sup>40</sup> „κυνογλασσοῦντας“ უფრო ზუსტად და სიტყვასიტყვით „ძალივით ყევას“ ნიშნავს.

2. „μικρὰ τὰ παραναγνωσθέντα τῆ ἀκοῆ δεξάμενος“ – „მცირედ აღუჩნდების აწ წარკითხული ესე სასმენელად მათდა“.

3. „κόλπος ἀκατάληπτος“ – „გამოუკულებელობა წიაღთა ქალწულისათა.“

4. „ἄνω ὁ πατρῷος καὶ ἀκατάληπτος κόλπος“ – „ზე წიაღთა შინა მამულთა გარეშემოუწერელად განსუენებულისა“.

5. „οὐχ ἀπλῶς τὸ τοῖς σπαργάνοις αὐτὸν κατειληθῆναι“ – „არა ლიტონ არს წარგრაგნა სახუევლითა“.

6. „ἵνα τὸ γάλα τῆς χάριτος βρῦσῃ“ – „რათა ნაკადული სძისა მის მადლთადასა აღმოგვცენოს“.

### ტერმინის შინაარსობრივად ან სინონიმური სიტყვით გადმოღება

1. ἀκατάληπτος – ეს სიტყვა ბერძნულ ტექსტში სულ სამჯერ არის გამოყენებული. ეფრემი ერთ შემთხვევაში თარგმნის, როგორც „გამოუკულებელობა“<sup>41</sup> („κόλπος ἀκατάληπτος“ – „გამოუკულებელობა წიაღთა“), მეორე შემთხვევაში, როგორც „უპირატესი ჟამთა“ („ὁ ἀκατάληπτος παιδίον ἐφαίνετο“ – „ყრმად ჩხვლად იხილვების უპირატესი ჟამთა“), ხოლო მესამე შემთხვევაში, როგორც „გარეშემოუწერელად“ („ὁ πατρῷος καὶ ἀκατάληπτος κόλπος“ – „წიაღთა შინა მამულთა გარეშემოუწერელად განსუენებულისა“).

2. διορθῶ – 1. „πρωτόπλαστον Ἀδὰμ διορθώσεται“ – „პირველ-ქმნული ადამ განაახლოს.“ 2. „ἀλογίαν τῆς ἀνθρωπότητος διορθώσεται“ – „პირუტყუება კაცებისა დატყუას.“ 3. „ἵνα τὴν οἰκουμηνικὴν ἀταξίαν διορθώσεται“ – „რათა უწესობა ყოვლისა სოფლისა განჰმართოს.“

3. βασιλεὺς – 1. „ἄνω βασιλεὺς, καὶ κάτω μισθωτός“ – „ზე, მეუფისა და ქუე, სასყიდლით დადგინებულისა“. 2. „ἐνέπαιζον εἰς τὸ βασιλικὸν ἀξίωμα“ – „იმღერდეს მრავალნი პატივითა მეფობისადათა“. 3. „ὁ κυφορούμενος βασιλεὺς“ – „აწ მუცლადღებულმან ამან მეუფემან“.

<sup>41</sup> ამ ტერმინის გადმოღების საკითხი პრობლემურია. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ უთარგმნელს ტოვებს. შესაძლოა, ეფრემი ამგვარად ტერმინ „ἀπεριγράπτως“-ს თარგმნიდეს. იხ. ზემოთ.

### ბერძნულში გამოტოვებული ლოგიკური შემასმენლის გადმოტანა.

ბერძნულ დედანს ხშირად ახასიათებს ლოგიკური შემასმენლის გამოტოვება. იქ მას ერთგვარი რიტორიკული დატვირთვაც აქვს – ოპოზიციათა ჩამოთვლას უფრო ამძაფრებს ლოგიკური შემასმენლის გამოტოვება, ეს კი თხრობას უფრო შთამბეჭდავს ხდის. ეგრემ მცირე თარგმნისას, უმეტეს შემთხვევაში, უთითებს ლოგიკურ შემასმენელს – ქართულ თარგმანში წერს იმას, რაც ბერძნულში იგულისხმება:

<p>ἄνω πλοῦσιος, καὶ κάτω ἐνδεής· ἄνω προσκυνούμενος, καὶ κάτω φορολογούμενος· ἄνω θεϊκὸς θρόνος, καὶ κάτω ἀγροικικὸν σπήλαιον· ἄνω ὁ πατῆρ καὶ ἀκατάληπτος κόλπος, καὶ κάτω ἀλογοτροφεῖον μικρὸν, καὶ φάτιον.</p>	<p>ზე – მდიდრისა და ქუე – მოქენისა, ზე – თაყუანისცემულისა და ქუე – მოშურნეთაგან განკითხულისა, ზე – საყდართა ღმრთეებისათა მჯდომარისა და ქუე ქუაბსა ველსმდგომთასა დატევნულისა, ზე – წიაღთა შინა მამულთა გარეშემოუწერელად განსუენებულისა და ქუე – კნინსა მას პირუტყუთ საზრდოსა ბაგასა მიწვენილისა.</p>
<p>Ἰωάννης ἐπὶ κλίνης, καὶ ὁ Κύριος ἐν φάτι.</p>	<p>იოვანე მიიწვინების ცხედარსა, ხოლო ივსო – პირუტყუთა ბაგასა.</p>
<p>διὰ ταύτην οὖν τὴν εὐταξίαν τὴν πρώτην ἀπογραφήν.</p>	<p>ამის ესევითარისა მიზეზისათვის იქმნა პირველი იგი აღწერა</p>

### II.3. წმინდა წერილის ციტირება

ვინაიდან ათანასე ალექსანდრიელის წინამდებარე ჰომილია ეგზეგეტიკური ხასიათისაა და ლუკას სახარების განმარტებას წარმოადგენს, მასში წმინდა წერილის არაერთი მონაკვეთია ციტირებული.<sup>1</sup> ერთი მხრივ, ესაა თავად ლუკას სახარების თემატური მონაკვეთები, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად, ძველი თუ ახალი აღთქმის ეპიზოდთა მოხმობა.

<sup>1</sup> ჰომილია მიზნად ლუკას სახარების დასახელებული მონაკვეთის განმარტებას ისახავს, მაგრამ მასში ჩართული და განმარტებულია ქრისტეშობის წინა დღით, ბასილი დიდის ჟამისწირვაზე I, III, VI და IX ჟამნებზე საკითხავი სახარებების მონაკვეთებიც (I - მათე 2, 18-25; III - ლუკა 2, 1-20; VI - მათე 2, 1-12 და IX - მათე 2, 13-23).

კარგად არის ცნობილი ეფრემ მცირის მიდგომა წმინდა წერილის ციტირების თარგმნასთან დაკავშირებით. იგი შესანიშნავად იცნობდა წმინდა წერილის იმ დროისთვის არსებულ ქართულ თარგმანებს. „გარდამოცემის“ თარგმანზე დართული ეფრემისეული კომენტარებიდან ჩანს ციტირების თარგმნისადმი ორგვარი მიდგომა: 1. თუ ბერძნულ დედანში წმიდა წერილიდან ციტატა ცვლილების გარეშეა მოხმობილი, ეფრემი მას ხელახლა არ თარგმნის და იყენებს წმიდა წერილის უკვე არსებულ ქართულ თარგმანს. 2. თუ ბერძნულ დედანში წმიდა წერილი შეცვლილი სახითაა მოხმობილი და თან ახლავს ავტორისეული ჩანართები, მაშინ ეფრემი მიჰყვება ავტორისეულ ციტირებას და ხელახლა თარგმნის დამოწმებულ მონაკვეთს (ბეზარაშვილი 2004: 516). „გარდამოცემაში“ არსებული წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მოხმობილი ციტატების თარგმნისას იგი ამბობს: „შეისწავე, ვითარმედ: საწინაღმართმეტყულონი სიტყუანი არა უმეცრებით დამიწერიან სხუებრ, არამედ ესრეთ ვპოენ დედასა შინა“ [მიმინოშვილი 1966: 123].

ათანასეს ჰომილიის ეფრემისეულ თარგმანშიც წმიდა წერილის ციტირება ორგვარი სახისაა. ქვემოთ წარმოდგენილია: 1. ეფრემის მიერ გამოყენებული წმინდა წერილის უკვე არსებული თარგმანი, რომელიც დანარჩენი თხრობისგან სტილურად განსხვავდება და ემთხვევა გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანს. 2. ციტატები, რომლებიც ბერძნულ დედანში ავტორისეული ინტერპრეტაციის, ერთგვარი ზეპირი ციტირების სახეს ატარებს.

**1. ეფრემი იყენებს წმიდა წერილის უკვე არსებულ თარგმანს.**

<p>Ἐν ταῖς ἡμέραις ἐκείναις ἐξῆλθε δόγμα παρὰ Καίσαρος Αὐγούστου, ἀπογράφεσθαι πᾶσαν τὴν οἰκουμένην. Αὕτη ἡ ἀπογραφή πρώτη ἐγένετο, ἡγεμονεύοντος τῆς Συρίας Κυρηναίου. Καὶ ἐπορεύοντο πάντες ἀπογράφεσθαι, ἕκαστος εἰς τὴν ἑαυτοῦ πόλιν. Ἐπορεύθη δὲ καὶ Ἰωσήφ ἐκ τῆς Γαλιλαίας ἐκ πόλεως Ναζαρέθ, εἰς τὴν Ἰουδαίαν, εἰς πόλιν Δαβὶδ, ἣτις καλεῖται</p>	<p>მათ დღეთა შინა გამოჰდა ბრძანებად აგუსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. ესე აღწერად პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვრინესსა და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად, თითოეული - თვისსა ქალაქსა. აღვიდა იოსებცა გალილეადთ, ქალაქით ნაზარეთით ჰურიასტანად, ქალაქად დავითისსა, რომელსა ეწოდების ბეთლემ,</p>
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

Βηθλεὲμ, διὰ τὸ εἶναι αὐτὸν ἐξ οἴκου καὶ πατριᾶς Δαβὶδ, ἀπογράφεσθαι σὺν Μαριὰμ τῇ μεμνηστευμένῃ αὐτῷ γυναικί, οὕτῃ ἐγκύῳ.	რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისსა, აღწერად მარიამის თანა, რომელი თხოვილ იყო მისსა და იყო იგი მიდგომილ (ლუკა 2, 1-5).
Χαίρετε καὶ ἀγαλλιᾶσθε, ὅτι τὰ ὀνόματα ὑμῶν ἐγράφη ἐν τοῖς οὐρανοῖς.	გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სახელები თქუენი დაწერილ არს ცათა შინა (ლუკა 10, 20)
Δόξα ἐν ὑψίστοις Θεῷ, καὶ ἐπὶ γῆς εἰρήνη, ἐν ἀνθρώποις εὐδοκία.	დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჯღობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ (ლკ. 2, 14).
Ἐγένετο ἐν τῷ εἶναι αὐτοὺς ἐκεῖ, ἐπλήσθησαν αἱ ἡμέραι τοῦ τεκεῖν αὐτὴν τὸν υἱὸν αὐτῆς τὸν πρωτότοκον· καὶ ἐσπαργάνωσεν αὐτὸν, καὶ ἀνέκλινεν αὐτὸν ἐν τῇ φάτνῃ, ὅτι οὐκ ἦν αὐτοῖς τόπος ἐν τῷ καταλύματι.	და იყო, ვიდრე იყვნესლა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი და შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხვა იგი სახუევლითა და მიაწვინა იგი ზაგასა, რამეთუ არა იყო მათდა ადგილ სავანესა მას (ლკ. 2, 6-7).

## 2. ეფრემი თავად თარგმნის წმიდა წერილის ციტატებს.

Σειραῖς γὰρ τῶν ἑαυτοῦ ἄμαρτιῶν ἕκαστος σφίγγεται.	რამეთუ თითოეული ჩუენი საკრველითა თვსთა ცოდვათაჲთა შეკრულ იქმნების (შდრ. იგავ. 5, 22).
τῶν δύο ζώων τροφή γένηται	შორის ორთა მათ ცხოველთასა იცნობებინ (შდრ აბაკ. 3, 2).
1. οὐδὲν ἄξιον θανάτου εὗρισκω ἐν τῷ ἀνθρώπῳ τούτῳ, <u>ὁ Ἰουδαῖοι.</u> 2. Οὐδὲν ἄξιον θανάτου εὗρισκω ἐν τῷ ἀνθρώπῳ τούτῳ.	1. არარას ღირსსა სიკუდილისასა ვჰპოვებ ამის თანა 2. მე არცა ერთსა ბრალსა სიკუდილისასა ვჰპოვებ კაცისა ამის თანა. (შდრ. ინ. 18, 38-39).

<p>Τί θέλετε ποιήσω Ἰησοῦν, τὸν λεγόμενον Χριστόν.</p>	<p>რა გნებავს, რაფთა უყო, რომელსა-ესე იტყვთ ქრისტედ? (შდრ. მრ. 15, 12).</p>
<p>Ἦφθη δὲ ἄγγελος Κυρίου κατ' ὄναρ τῷ Ἰωσήφ, λέγων· Ἰωσήφ σὺς Δαβὶδ, μὴ φοβηθῆς παραλαβεῖν Μαριάμ τὴν γυναῖκά σου· τὸ γὰρ ἐν αὐτῇ γεννηθὲν, ἐκ Πνεύματος ἑστίν ἁγίου. Ἀναστας δὲ, φησὶν, Ἰωσήφ, παρέλαβε Μαριάμ τὴν γυναῖκα αὐτοῦ, καὶ ἐπορεύθησαν εἰς Αἴγυπτον· καὶ οὐκ ἐγένωσκεν αὐτὴν, ἕως οὗ ἔτεκε τὸν σὺν αὐτῆς τὸν πρωτότοκον.</p>	<p>შეიწყნარა იოსებ ჩუწნებად ანგელოზისად, რამეთუ ეჩუენა მას ანგელოზი ღმრთისად ჩუენებით და ჰრქუა: ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა მარიამ ცოლი თვისი და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოდ (შდრ. მთ. 1, 20-25).</p>

#### **II.4. ბერძნულ დედანში არსებული რიტორიკული ხერხების გადმოტანა ქართული თარგმანში**

ჰომილიის ბერძნული დედანი შესანიშნავი რიტორიკული ხერხებით გაჯერებული ტექსტია. როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს, „მასში ისეა ჩაწნული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, როგორც მეწამული ფერი ქსოვილში“. თხზულებაში თხრობა დინამიკური და მკითხველის/მსმენელისთვის მარტივად გასაგებია, მაგრამ, ამავე დროს, მდიდარია ღრმა ისტორიული თუ ეგზეგეტიკური პასაჟებით. მასში სისადავე და პოეტური ენა ისეა შეზავებული, რომ მსმენელსა თუ მკითხველს, გარდა სახარების განმარტებით სულიერი საზრდოს მიღებისა, ესთეტიკურ ტკბობასაც ჰგვრის. ტექსტში უხვადაა ეპითეტები, შედარებები, რიტორიკული შეკითხვები, რომლებიც ჰომილიის წარმოთქმისას მსმენელთა მაქსიმალურ ჩართულობას განაპირობებს (ერთგვარი მყარი, რეფრენის ტიპის ფრაზების გამეორება, ანტითეზები, ჰენდიადისები და სხვა). ეფრემ მცირე ცდილობს, ქართულ თარგმანშიც გადმოიტანოს ბერძნული ენის მხატვრული ღირსებები, რასაც, უმეტესწილად წარმატებით ახერხებს, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ერთდროულად მაინც რთულია, ერთი მხრივ, ბერძნული ენის გამომსახველობითი საშუალებების ზუსტად ასახვა ქართულ თარგმანში, მეორე მხრივ კი, დედანში არსებული მხატვრული ეფექტის შენარჩუნებაც.



ათანასე ალექსანდრიელი თხრობისას ხშირად იყენებს ოპოზიციებს, ერთმანეთს უპირისპირებს რა იუდეველთა სიბოროტესა და ქრისტეს უბრალოებას, სიყვარულს, ქრისტეს ზეციურ დიდებასა და განკაცებით თავის დამდაბლებას. ბერძნული დედნის ამგვარ ეპიზოდებში ლოგიკური შემასმენელი გამოტოვებულია, ეს ერთგვარი მხატვრული ხერხია. ევრემ მცირე კი ლოგიკური შემასმენლის გადმოცემას ამჯობინებს:

„ἄνα πλουσίος, καὶ κάτῶ ἐνδείχ· ἄνα προσκυνούμενος, καὶ κάτῶ φορολογούμενος· ἄνα θεϊκὸς θρόνος, καὶ κάτῶ ἀγροικικὸν σπήλαιον· ἄνα ὁ πατρῷος καὶ ἀκατάληπτος κόλπος, καὶ κάτῶ ἀλογοτροφεῖον μικρὸν, καὶ φάτνιον“.

„ზე – მდიდრისაჲ და ქუე – მოქენისაჲ, ზე – თაყუანისცემულისაჲ და ქუე – მოშურნეთაგან განკითხულისაჲ, ზე – საყდართა ღმრთეებისათა **მჯდომარისაჲ** და ქუე ქუაბსა ველსმდგომთასა **დატევნულისაჲ**, ზე – წიაღთა შინა მამულთა გარეშემოუწერელად **განსუენებულისაჲ** და ქუე – კნინსა მას პირუტყუთ საზრდოსა ბაგასა **მიწვენისაჲ**“.

ბერძნულ დედანში რამდენიმე ფრაზა ხშირად მეორდება, რაც განსაკუთრებულად გამოკვეთს ტექსტის ერთ-ერთ მთავარ სათქმელს და ეფექტს ახდენს მსმენელზე. ეს ფრაზა იმითაც არის გამორჩეული, რომ მას ერთგვარი რითმი, ალიტერაცია ახასიათებს. ქართულ თარგმანში, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია დედნისეული ეფექტი და, რაც მთავარია, ისევე, როგორც ბერძნულში, აქაც სამივე შემთხვევაში ფრაზა ერთი და იმავე ფორმით მეორდება.

„Εἰ γὰρ καὶ μικρὰ ἐν προσιμίῳις τὰ ρήματα, ἀλλ' ὅμως μεγάλα τῆς χαρᾶς τὰ μυσταγωγήματα“.

„რამეთუ დაღაცათუ მცირე არიან შესავალნი სიტყვსანი, გარნა ეგრეთცა დიდვე არიან მადლნი სახარულოვანი ამის საიდუმლოდანი“.

ასევე სამჯერ მეორდება შემდეგი ფრაზა:

„Ὡ τῶν παραδόξων πραγμάτων!“ – „ეჰა, საკვრველებასაღა ამათ საქმეთასა!“

ჰომილიაში არაერთხელ შეხვდებით მსგავს მხატვრულ ეპიზოდებს:

„Ἐν τούτοις ὁ Ἰωσήφ εὐλαβηθεῖς, διττὴν λοιπὸν ὁδὸν ἐβᾶδιζε· τοῖς μὲν ποσὶ τὴν γῆν ἰχνοποιῶν, τοῖς δὲ λογισμοῖς τὰς νεφέλας ὑπερπηδῶν“.

„ესე ყოველი რაჲ ესმოდა იოსებს, მიერთგან იწყო სლვად მრჩობლთა გზათა, რამეთუ ფერჯითა მიწისა კუალთა სტკებნიდა, ხოლო თუალითა ღრუბელთა განიხილვიდა“.

**ბერძნულ დედანს განსაკუთრებულ ელფერს მსგავსი პარონომაზიული სიტყვათშეკავშირებებიც ჰმატებს, რაც ეფრემსაც მშვენივრად გადმოაქვს:**

„Τί... ἀκρασίᾳ κρατοῦντες τὸν δίκαιον, καὶ τὸν ἀνεύθυνον ἰπενύθυνον εἶναι θέλοντες;“

„რადსა უწესოებით შეიპყრობთ მართალსა და ამაოებით ბრალეულ ჰყოფთ უბრალოსა?“

## დასკვნა

ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ღმრთისმეტყველის, ათანასე ალექსანდრიელის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძველი ქართული თარგმანები, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ამ თხზულებათა მეცნიერული შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია და წინამდებარე ნაშრომიც ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის გაღრმავებას ემსახურება.

როგორც კვლევამ ცხადყო, ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცული, დღემდე შეუსწავლელი, წმინდა ათანასე დიდის ჰომილიის „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ ეფრემ მცირისეული თარგმანი მრავალმხრივ საინტერესოა: მნიშვნელოვანი მასალები გამოიკვეთა როგორც ათანასეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე მისი თხზულებების შესასწავლად. ასევე, გამოვლინდა ჰომილიის შემცველ ნუსხებთან, მათ ისტორიულ-ტექსტოლოგიურ საკითხებთან თუ ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემატიკა.

წარმოდგენილი ნაშრომის პირველ თავში სისტემური სახით არის წარმოდგენილი ათანასე ალექსანდრიელის თხზულებების ძველი ქართული თარგმანების შევსებული სია, კლასიფიცირებულია გამოუცემელი და გამოცემული ტექსტები, მითითებულია თხზულებათა გამოცემები; მოცემულია გამოკვლეული ჰომილიის შემცველი 6 უძველესი ხელნაწერის მოკლე პალეოგრაფიული აღწერილობა. ნუსხებში შემავალი თხზულებებისა და მათ შორის ათანასეს ჰომილიის ადგილის, ასევე ხელნაწერთა ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდები ხელნაწერთა ურთიერთმიმართების შესახებ, თუ რომელია მათ შორის უძველესი და რომლები ავლენენ ერთმანეთთან განსაკუთრებულ სიახლოვეს; თხზულების შემცველი უძველესი ხელნაწერის, S-1276-ის შესწავლის საფუძველზე, გაზიარებულია ე. მეტრეველის არგუმენტაცია ჰომილიის მთარგმნელად ეფრემ მცირის მიჩნევასთან დაკავშირებით და ეს თვალსაზრისი ახალი არგუმენტებით არის გამყარებული. განხილულია ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან და მის ავთენტურობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. მართალია, რამდენიმე უცხოენოვან სამეცნიერო წყაროში ჰომილია ფსევდო-ათანასესეულადაა მიჩნეული და სავარაუდო ავტორად ტიმოთე იერუსალიმელი სახელდება, მაგრამ,

რადგან არ არსებობს ამის დამადასტურებელი საფუძვლიანი კვლევა, წინამდებარე ნაშრომში ავტორად ათანასე ალექსანდრიელია მიჩნეული.

პირველი თავის დასასრულს, მე-6 და მე-7 ქვეთავებში წარმოდგენილია 6 ხელნაწერის მიხედვით ჰომილიის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური და ხელნაწერებში არსებული პუნქტუაციისა და პირობით ნიშნებთან დაკავშირებული საკითხების ვრცელი ანალიზი. ევრემ მცირის ავტოგრაფის შემცველ S-1276-ში გამოვლენილია მთარგმნელის მიერ შემოდებული პუნქტუაციის, პირობითი ნიშნებისა და ინტონაციური მახვილის კვალი. ვინაიდან ამ ნიშნების გამოყენებას განსაკუთრებით ცდილობენ A-162-ისა და Jer. 38 ნუსხების გადამწერები, ამდენად, ლოგიკური ჩანს, ერთ ჯგუფში გაერთიანდეს: S-1276, A-162 და Jer. 38, ხოლო მეორეში: A-1170, A-182 და Jer. 23 კრებულები.

მეორე თავი დაეთმო ევრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის დეტალურ განხილვას ბერძნულ დედანთან მიმართებით. მე-2 ქვეთავში წარმოდგენილია ბერძნულ დედანსა და ქართულ თარგმანს შორის არსებულ სხვაობათა – მატების, კლების, ჰენდიადისების, მიმღეობათა გადმოტანის, გრამატიკული რიცხვის ცვლილებისა და სხვათა მაგალითები. შედარებამ აჩვენა, რომ თარგმანი არ სცილდება XI საუკუნის 90-იან წლებამდელ, წინარეელინოფილურ ევრემისეულ მთარგმნელობით მეთოდს. თარგმანში გამოვლინდა მატების, კონტექსტის შერბილების, ინტერპრეტაციის, ბერძნულ მიმღეობათა ქართულისთვის ბუნებრივი, ზმნის პირიანი ფორმებით ჩანაცვლებისა თუ გრამატიკული რიცხვის ცვლილების არაერთი შემთხვევა, ასევე, ევრემისთვის დამახასიათებელი, მაღალმხატვრული ჰენდიადისური წყვილები. მე-3 ქვეთავში, რომელიც დაეთმო წმინდა წერილის ციტირების პრობლემატიკას, წინამდებარე ჰომილიის თარგმნისას ევრემი წმინდა წერილის ციტირების იმავე მეთოდს მიმართავს, რაც მის სხვა თარგმანებში გვხვდება. ის დედანში არსებული წმინდა წერილის ზუსტი ციტაციისთვის მიმართავს გიორგი მთაწმინდელისეულ უკვე არსებულ ზუსტ ქართულ თარგმანს, ხოლო დედანში არსებულ თავისუფალ ციტაციას თავადვე თარგმნის. პირველი თავის საბოლოო, მე-4 ქვეთავში ბერძნულ დედანში არსებული რიტორიკული ხერხების ქართულ თარგმანში გადმოტანის შემთხვევებია ილუსტრირებული.

მთარგმნელი შესანიშნავად აღიქვამს დედნისეულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს და ისინი სრულყოფილად გადმოაქვს.

ნაშრომს თან ახლავს ორი დანართი. დანართ N1-ში მკითველს პირველად ეძლევა საშუალება გაეცნოს ჰომილიის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს და თავად თანმიმდევრულად მიადევნოს თვალი კვლევით ნაწილში წარმოდგენილ მსჯელობას. დანართ N2-ში კი მოცემულია მოცემული ძველბერძნულ-ძველქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი კიდევ ერთხელ დაანახებს მკითხველს ბერძნულ-ქართული ტექსტების მიმართებასა და ქართველი მთარგმნელის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

სამომავლოდ იკვეთება კვლევის გაგრძელების მრავალხრივი პერსპექტივა, როგორც წინამდებარე ჰომილიის დარჩენილ 14 ხელნაწერთან შედარებისა და საღმრთისმეტყველო კუთხით კვლევისა, ასევე ათანასეს სხვა თხზულებების ძველი ქართული თარგმანების შესწავლის მიმართულებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბეზარაშვილი 2004:** ბეზარაშვილი ქ., რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 2004.
2. **ბრეგაძე 1971:** ბრეგაძე თ., მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1971.
3. **ბრეგაძე 1988:** ბრეგაძე თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1988.
4. **გაბიძაშვილი 2009:** გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ჰომილეტიკა, ტ. 3, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009.
5. **გაბიძაშვილი 2009:** გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, ტ. 4, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009.
6. **დოლაქიძე 2018:** დოლაქიძე მ., ჩიტუნაშვილი დ., გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვანაქსარი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
7. **დოლიძე 2007:** დოლიძე თ., ბიზანტინოლოგია საქართველოში, ტ. I, გამომცემლობა ლოგოსი, თბილისი, 2007.
8. **იმნაიშვილი 1970:** ათანასე ალექსანდრიელი, „ცხოვრებაჲ წმიდისა ანტონისი“, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1970.
9. **კეკელიძე 1957:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
10. **კვირიკაშვილი 2003:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. II, თბილისი, 2003.

11. **კვირიკაშვილი 2005:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. III, თბილისი, 2005.
12. **კვირიკაშვილი 2007:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. V, თბილისი, 2007.
13. **კოპლატაძე 2019:** კოპლატაძე გ., ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, ტ. I, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2019.
14. **მარი 1955:** მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955.
15. **მელიქიშვილი 2010:** მელიქიშვილი ნ., ქართული ნათარგმნი ჰომილექტიკური ძეგლები, ტ. I, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
16. **მელიქიშვილი 2014:** მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, სავალდებულო სალექციო კურსი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, თბილისი, 2014.
17. **მეტრეველი 1959:** მეტრეველი ე., ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1959.
18. **მეტრეველი 1961:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. 2, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.
19. **მეტრეველი 1976:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ. 1, ნაკვეთი II, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1976.
20. **მიმინოშვილი 1966:** მიმინოშვილი რ., იოვანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბილისი, 1966.

21. **ოთხმეზური 2011:** ოთხმეზური თ., კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
22. **ოთხმეზური 2018:** ოთხმეზური თ., უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში, ილუსტრირებული კატალოგი, თბილისი, 2018.
23. **ოთხმეზური 2019:** ანტიოქიის რეგიონის ქართული მწიგნობრული პროცესების რეკონსტრუქციისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 26, თბილისი, 2019.
24. **რაფავა 1976:** იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1976.
25. **სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.
26. **სარჯველაძე 1997:** სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997.
27. **ჩუბინიძე 1991:** ჩუბინიძე თ., სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ეპისტოლე არიანელთა წინააღმდეგ, ეგვიპტისა და ლიბიის მხარის ეპისკოპოსთა მიმართ, ტ. 2, თბილისი, 1991.
28. **ციხელაშვილი 2018:** ციხელაშვილი ლ., ძველი ქართული ენა, საბაკალავრო სალექციო კურსი, ნაწ. I, თბილისი, 2018.
29. **შარაშიძე 1954:** შარაშიძე ე., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, A კოლექცია, ტ. 4, თბილისი, 1954.
30. **წმიდად ოთხთავი,** წმ. გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, დასაბეჭდად მოამზადა გრიგოლ რუხაძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2018.
31. **ჯუღელი 2011:** ჯუღელი ვ., ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. II, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, 2011.
32. **ჯუღელი 2019:** ჯუღელი ვ., ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ტ. I, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, 2019.



33. **Anatolios 2004:** Anatolios k., The early church fathers, Athanasius, edited by Carol Harrison, University of Durham, New York, 2004.
34. **BHG:** Subsidia Hagiographica, n. 8a, Bibliotheca Hagiographica Graeca par Francois Halkin, t. I-III, Bruxells, 1957.
35. **Blake 1924<sup>1</sup>:** Robert P. Blake, Catalogue des manuscrits georgiens, T. III, Paris, Librairie Auguste Picard, 1924.
36. **Blake 1924<sup>2</sup>:** Robert P. Blake, Catalogue des manuscrits georgiens, T. IV, Paris, Librairie Auguste Picard, 1924.
37. **Barnes 1993:** Barnes, Timothy D., Athanasius and Constantius: Theology and Politics in the Constantinian Empire, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1993.
38. **Coulie – Metreveli 2013:** Coulie B., et Helene Metreveli, Sancti Gregorii Nazianzeni opera, versio Iberica, Turnhout, Brepols Publisher, 2013.
39. **CPG:** Corpus Christianorum, Clavis Patrum Graecorum, t. II, Brepols-Turnhout, 1974.
40. **Lampe 1961:** G.W.H. Lampe, D.D., A Patristic Greek Lexicon, Oxford, At the Clarendon press, 1961.
41. **Oxford dictionary:** Oxford dictionary of Byzantium, Alexander P. Kazhdan, Alice-Mary Talbot, vol. I, New York, Oxford University Press, 1991.
42. **PG.:** Patrologia graeca, S.P.N. Athanasii, J. P. Migne, T. 28, 1857.
43. **PG.:** Patrologia graeca, Gregorii Theology, J. P. Migne, T. 35, 1857.
44. **Thomson 1971:** Robert W. Thomson, Early Christian Texts, Contra Gentes and De incarnatione, Oxford, At the Clarendon press, 1971.

### ინტერნეტ რესურსები:

45. **ჭელიძე 2016:** ჭელიძე ე., საუბრები ქრისტიანულ ლიტერატურაზე, ათანასე ალექსანდრიელი (270-284 ლექციები), 2016. იხ. ბმული: <http://library.church.ge>.
46. **Hardy 2022:** Hardy, Edward R., Encyclopædia Britannica. იხ. ბმული: <https://www.britannica.com/biography/Saint-Athanasius>.
47. **TLG:** Thesaurus Linguae Graecae: <http://stephanus.tlg.uci.edu>.
48. **LSJ:** The online Liddell-Scott-Jones Greek-English Lexicon: <http://stephanus.tlg.uci.edu>.

## დანართი N1

ათანასე ალექსანდრიელის ჰომილია „აღწერისათვის ღმრთისმშობელისა და იოსებისა“ გადმოწერილი და კრიტიკულად გადგენილი ექვსი უძველესი ხელნაწერის მიხედვით. ჩამოთვლილი ხელნაწერების მიხედვით იკითვისები მითითებულია შესაბამისი ლიტერით:

A – S-1276, 64r-71r (XI);

B – A-162, 19r-23v, (XI);

C – A-1170, 86v-94r, (XI-XII);

D – Jer.23, 74r-78v, (XII-XIII);

E – A-182, 128r-138v, (XIII);

F – Jer. 38, 101r-110v, (XIII-XIV).

**წინა დღით ქრისტეშობისა, საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა  
ჩუენისა ათანასე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ  
სიტყუამ აღწერისათვს ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა  
მარიამისა და იოსებისთვს, რომელმან მითხოვა იგი. გუაკურთხენ, უფალო!<sup>1</sup>**

1. ვითარცა მუშაკნი იგი, რომელნი აღმოჰკუეთდიან მიწასა, გამოსადნობელსა ოქროდსასა, რაჟამს პოვიან ნაპრალთა მისთაგანი რადმე მცირე<sup>2</sup> ნაწილი, ყოვლითურთ შეუდგინან მუშაკობასა მისსა, ვითარცა წინამღუარსა<sup>3</sup> შესაძინელისასა და არცა ერთი რად აჩუენიან დაცადებაჲ სრბისაჲ,<sup>4</sup> არცა თავს-იდვიან სხუად ცვალებაჲ ადგილისაჲ, ვიდრემდის შემძლებელ იქმნიან მიმთხუევად საუნჯეთა, წინაშე მათსა მდებარეთა. ამითვე სახითა ვჰყოფთ ჩუენცა, საეკლესიოდსა ამის მუშაკობისა<sup>5</sup> მოქმედნი, ვინადთგან ჰელთა შინა<sup>6</sup> ჩუენტა გვჰყრიეს<sup>7</sup> მახარებელი ლუკა განმღებელად და გულისჰმისყოფელად ჩუენდა საუნჯეთა მათ უფლისა წმიდისა ქალწულისაგან განჯორციელებისათა. არა დავსცხრებით<sup>8</sup> ძიებისაგან პირველვე შეკრებადმდე<sup>9</sup> ჩუენდა წინამდებარისა ამის სიმდიდრისა, რადთა ჯეროვნად განვიკუთნოთ იგი.

<sup>1</sup> სათაურისათვის იხ. გვ. 19.

<sup>2</sup> მცირე -C.

<sup>3</sup> წინამღუარსა C.

<sup>4</sup> სრბისა C.

<sup>5</sup> მოშაკობისა ACEF.

<sup>6</sup> შინა -C.

<sup>7</sup> გვტვრთავს C.

<sup>8</sup> დავსცხრები B. παυσώμεθα, PG, 944.

<sup>9</sup> შეკრებადმდე ABCF.

ამისთვის<sup>1</sup> შემდგომითი-შემდგომად გამოვიკულებთ კუალთა სახარებისათა, რადთა არცა ერთი-რად დაგუჭირდეს<sup>2</sup>, შესაძინელთა მისთაგანი, რამეთუ დაღაცათუ მცირე არიან შესავალნი სიტყვსანი, გარნა ეგრეთცა დიდვე არიან მადლნი სახარულოვანნი<sup>3</sup> ამის საიდუმლოდსანი.

და ნუმცა ვინ მოიწყინებს სიტყუასა ამას მათგანი, რომელთა მცირედ აღუჩნდების აწ წარკითხული ესე სასმენელად მათდა. რამეთუ ამას ჩუენცა ვიტყვთ,<sup>4</sup> ვითარმედ შემსგავსებულად ძალისა შობილისა ამის მეუფისა მცირე არიან, და ფრიადცა მცირე აღმოკითხულნი ესე სიტყუანი. და უფროდს<sup>5</sup> მათთვის, რომელთა გარეწარად აღმოკითხნენ<sup>6</sup> სახუეველნი და ბაგად და უღონოებად სავანისა<sup>7</sup> და არაქონებად<sup>8</sup> ადგილისა<sup>9</sup>. გარნა დაღაცათუ ესე<sup>10</sup> ყოველნი მცირე არიან, არამედ ფრიად დიდებულ არს მათ მიერ აღსრულებული იგი საიდუმლოდ,<sup>11</sup> გამოუკულებელობად წიაღთა ქალწულისათა და შეუხებელობად ძუძუთა დაუკლებელად მაწოვნებელისათა,<sup>12</sup> უცხო<sup>13</sup> ნაკადულობად იგი სძისა<sup>14</sup> და დედაკაცი ზემთა<sup>15</sup> ქმნული შჯულთა ბუნებისა, აღწერილთა თანა შერაცხვად ღმრთისა დედისა და მიმთხოელად მისისა<sup>16</sup> წოდებად იოსებ მართლისა არათუ<sup>17</sup> ზიარებითა საქმისადათა, არამედ ჩემებითა ხოლო სახელისადათა, 2. ვითარ-იგი აწლა გესმოდა ლუკადს მიერ მახარებელისა, რომელი იტყოდა: „მათ დღეთა შინა გამოვცა ბრძანება<sup>18</sup> აგვსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. ესე აღწერად პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვრინესსა და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად, თითოეული - თვსსა ქალაქსა. აღვიდა იოსებცა<sup>19</sup> გალილეადთ, ქალაქით ნაზარეთით ჰურიასტანად,<sup>20</sup> ქალაქად დავითისსა, რომელსა ეწოდების ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისსა, აღწერად მარიამის თანა, რომელი თხოვილ იყო მისსა<sup>21</sup> და იყო იგი მიდგომილ“ [ლუკა 2, 1-5].

<sup>1</sup> ამისთვისა A.

<sup>2</sup> μηδὲν καταλείψαμεν, PG, 944.

<sup>3</sup> სახარულევანნი DEF.

<sup>4</sup> ვიტყვით B.

<sup>5</sup> უფროსდა B.

<sup>6</sup> აღმოკითხნენ CF.

<sup>7</sup> სავანეთად C. τόπος ἀνεπιτήδειος, PG, 944.

<sup>8</sup> არქონება D.

<sup>9</sup> τόπος ἀνεπιτήδειος, PG, 944.

<sup>10</sup> ესენი BE.

<sup>11</sup> საიდუმლოდ E.

<sup>12</sup> მაწოვნებელისათად F.

<sup>13</sup> და უცხოდ C.

<sup>14</sup> „უცხო ნაკადულობად იგი სძისად“ – პატარა ასოებით ამიაზეა მიწერილი F.

<sup>15</sup> ზესთა C.

<sup>16</sup> მიმთხოვილად მისსა C, მისსა D, მიმთხოელად მისსა F.

<sup>17</sup> არად თუ B.

<sup>18</sup> ბრძანება B.

<sup>19</sup> „ცა“ სიტყვას ზემოდან აქვს მიწერილი A.

<sup>20</sup> ჰურიასტანად E.

<sup>21</sup> მისდა D.

ჰხედავ-ა, ვითარ მცირე არიან სიტყუანი და დიდ საიდუმლოთა დაფარულებანი? რამეთუ დაღაცათუ დაესაჯების სიმცირე სიტყუათა, არამედ უფალი მუცლად-იღებვის და პირველი აღწერად შჯულისდებად განეწესებვის.<sup>1</sup>

ეჰა, საკვრველი, ვითარ რომელსა ყოველნი დაბადებულნი აღწერილად ჰქონან და თვსთა მოწაფეთა ეტყვს, ვითარმედ **გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სახელები თქუენი დაწერილ არს ცათა შინა [ლუკა 10, 20],** გრძელთა მათ შინა კონდაკთა ჰრომაელთასა შეუნდობს აღწერად დედისა თვსისა.

ვინ-მე არა<sup>2</sup> იტყოდის, ვის-მე არა დაუკვირდებოდის სიმდაბლით გარდამოსლვად უფლისად,<sup>3</sup> ზეცას თავისუფლისად და ქუეყანასა ზედა აღწერილისად?! ზე – მისად და ქუე – მონისად, ზე – მეუფისად<sup>4</sup> და ქუე – სასყიდლით დადგინებულისად, ზე – მდიდრისად და ქუე – მოქენისად, ზე – თაყუანისცემულისად და ქუე – მოშურნეთაგან განკითხულისად, ზე – საყდართა ღმრთეებისათა მჯდომარისად და ქუე ქუაბსა ველსმდგომთასა დატევნულისად, ზე – წიაღთა შინა მამულთა გარეშემოუწერელად განსუენებულისად და ქუე – კნინსა მას პირუტყუთ საზრდოსა ბაგასა მიწვენილისად. ვინ-მე არა<sup>5</sup> განკვრდეს, ვინ-მე არა შეძრწუნდეს?! დიდ არიან ზენანი საქმეთა დიდებულებანი და მცირე არიან ქუენათა<sup>6</sup> ამათ სახუეველთა გრაგნილობანი, რომელთა მიერ შეიხუევის და შეიკრვის მქსნელი ყოველთად და იზარდების<sup>7</sup> მზრდელი დაბადებულთად; ყრმად ჩჩვლად იხილვების უპირატესი ჟამთად; და ძუძუთა ივასხებს აღმომაცენებელი წყაროთად; გამოუთარგმანებელად მიმოიყვანების მმართველი იგი და მყვანებელი ყოველთად და ყოველთა შორის დაუკლებელი კერძოსა ადგილთასა შეუსაზღვრებლად<sup>8</sup> გარეშეწერების.

ეჰა, დიდებულებასადა საქმეთასა! ელისაბედ სახლსა შინა შუენიერსა შვა იოვანე, ხოლო ქალწული ქუაბსა შინა მცირესა შობს მეუფესა; იოვანე მიიწვინების ცხედარსა, ხოლო ივსო – პირუტყუთა ბაგასა. ნამდვლვე<sup>9</sup> არა ლიტონ არს ქალწულისაგან შობად უფლისად, არა ლიტონ არს წარგრაგნად სახუეველითა,<sup>10</sup> არა ლიტონ არს წოვნად<sup>11</sup>

<sup>1</sup> გწისების CF, გწიწესების D, ἐνομοθετεῖτο PG, 944.

<sup>2</sup> არად A.

<sup>3</sup> უფლისა ABCDEF.

<sup>4</sup> მეფისად B.

<sup>5</sup> არად EF.

<sup>6</sup> ქუწნათა BCDEF.

<sup>7</sup> იზრდების C.

<sup>8</sup> დაზიანების გამო ეს სიტყვა არ იკითხება A-ში.

შეუსაზღვრებლად F.

<sup>9</sup> ნანდვლვე C.

<sup>10</sup> სახუეველითა A,

სახუწველითა BE,

სახუწველითა C, წარგრაგნად

სახუეველითა -D.

<sup>11</sup> წოვნა C.

ძუძუდსაჲ, არცა მარტივ – მიწვენად<sup>1</sup> ზაგასა და თვთ მებრვე აგვსტოსისმიერი ესე აღწერაჲ. არავე ლიტონ არს და შემოკრებაჲ იგი ერისაჲ; არა ამაო არს, არამედ ყოველივე – გამოსაძიებელ, ყოველივე – იგავ და რადობასა და რადსათვსობასა მიდევნებულ. და ესე ესრეთ გულისგმა-ყავ ქალწულისაგან იშვა, რადთა ქალწულისაგან მიწისა დაბადებული, ქუეყანისაგან შექმნილი და პირველ-ქმნილი ადამ განაახლოს. სახუეველითა შეიხუევის, რადთა საკრველნი<sup>2</sup> ცოდვათა ჩუენთანი განჰქსნნეს და საკრველითა საკრველთა<sup>3</sup> დაჰქსნის<sup>4</sup>, თქუმულისა მისებრ სიტყვსა, რამეთუ: „**თითოეული<sup>5</sup> ჩუენი საკრველითა თვსთა<sup>6</sup> ცოდვათაჲთა<sup>7</sup> შეკრულ იქმნების**“ (შდრ. იგავ. 5, 22). ძუძუმს მწოვარ იქმნა, რადთა ნაკადული სძისა მის მადლთაჲსაჲ აღმოგვცენოს, არა უცხოჲ რადმე, არამედ გუერდით მისით აღმოცენებული, რამეთუ არარაჲ სხუაჲ სახელ-იდების სძედ, თვნიერ სისხლი იგი<sup>8</sup> განსპეტაკებული. ზაგასა პირუტყუთასა მიიწვინა, რადთა პირუტყუებაჲ კაცებისაჲ<sup>9</sup> აღატყუას. შორის ორთა მათ ცხოველთა, ჰურიათა ვიტყვ და წარმართთა ერსა, საცნაურ იქმნა, რადთა პირველ თქუმული მისთვს აღასრულოს, ვითარმედ: **შორის ორთა მათ ცხოველთასა<sup>10</sup> იცნობებინ<sup>11</sup>** (შდრ აზაკ. 3, 2). აგვსტოს კეისრისაგან აღწერასა თავს-იდებს, რადთა უწესოებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ<sup>12</sup> განჰმართოს. რამეთუ ესე აღწერაჲ ექმნა ყოველსა სოფელსა მიზეზ წესიერებისა და<sup>13</sup> წინდ განწესებულებისა.

3. და<sup>14</sup> რამეთუ ჭემმარიტ არს თქუმული ესე, მცირედთა სიტყუათა მიერ ისმინე. პირველ ქრისტეს განკაცებასა<sup>15</sup> ფრიადი რადმე მძლავრებაჲ იხილვებოდა შორის თითოეულსა ნათესავსა და პირუტყუებრ განეგებვოდეს<sup>16</sup> ყოველნი, რამეთუ ვითარცა სამღერელითა რადთმე ყრმათა ჩჩვლთაჲთა, ეგრეთ იმღერდეს მრავალნი პატვიითა მეფობისაჲთა. და სიმრავლისა<sup>17</sup> კაცთაჲსა მოგებაჲ ღონედ მეფობისა<sup>18</sup> მოგონებულ იყო და უკუეთუ ვისმე ასნი ოდენ კაცნი აქუნდიან თავისა თვსისა, მყის მიმხუეჰკელ იქმნის პატვისა მეფობისასა, რამეთუ ესევითარი არს ჩუეულებაჲ წარმართთაჲ, ადგიდ-ადგიდ

<sup>1</sup> მარტივი მიწუწნად C.

<sup>2</sup> საკრველი B. τὰς σειρὰς, PG, 944.

<sup>3</sup> საკრველითა C.

<sup>4</sup> δεσμὰ δεσμοῖς λῶαν PG, 944.

<sup>5</sup> თითეული B, თითოელი C.

<sup>6</sup> „თვსთა“ პატარა ასოებით სტრიქონებს შორისაა ჩაწერილი F.

<sup>7</sup> ცოდვათათჷს B.

<sup>8</sup> იგი -CD.

<sup>9</sup> კ~ცის~ჲ E. ἀλογίαν τῆς ἀνθρωπότητος PG, 948.

<sup>10</sup> ცხოველთაჲსა B, ცხოველთა CF.

<sup>11</sup> καὶ τῶν δὲο ζῶων τροφὴ γένηται, PG, 946.

<sup>12</sup> τῆν οἰκουμηνικὴν ἀπαξίαν PG, 948.

<sup>13</sup> და -C.

<sup>14</sup> და -C.

<sup>15</sup> განკაცებისა F.

<sup>16</sup> განეგებოდის C.

<sup>17</sup> სიმრავლისაჲ C.

<sup>18</sup> მეფობისაჲ B, -C.

თვსსა მთავარსა<sup>1</sup> ეპიებენ და სხვთი<sup>2</sup> სხუად მისლვასა არა თავს-იდებენ თვნიერ ჟამისა მის,<sup>3</sup> ოდეს იგი რადთაცა მიზეზითა ერთიერთსა ეწყობვოდიან.<sup>4</sup>

ამის ესევიტარისა შერეულებისა საქმესა მრავალჟამეულობითი<sup>5</sup> ჩუეულება მიელო, გარნა მოწევნასავე თანა უფლისასა<sup>6</sup> და დავანებასა ქალწულებრივსა მას პალატსა შინა მყის მრავალმთავრობად დასცხრა და ქუეყანად ერთ სამთავრო იქმნა ქუეყნად მოსლვითა მისითა, ვინადთგან მეფობამან ჰრომთამან ყოველნივე განიკუთნნა<sup>7</sup> სამკვდრებელად თვსსა, რადთა, მსგავსად ზეცისათა მათ ძალთა,<sup>8</sup> ქუეყანისანიცა ჰმონებდენ ერთმთავრობასა. რამეთუ ვითარ-იგი ზეცას ერთი ოდენ იპყრობს მთავრობასა მრავალთასა, ვინადთგან უჩინო ქმნილ არს მათგან მძლავრებად ეშმაკთად, ამითვე სახითა იქმნა ქუეყანასაცა<sup>9</sup> ზედა. დაღაცათუ მრავალნი იყვნეს დაუმორჩილებელნი ნათესავნი, არამედ ეგრეთცა ერთი ოდენ<sup>10</sup> იპყრობს ყოველთა, ესე იგი არს მეფობად ჰრომთად. და უფროდსა ამითვს, რამეთუ იპყრობვის იგი და განეგებვის<sup>11</sup> ზეცით მეუფისა მისგან<sup>12</sup> მეუფეთადასა.

ამის ესევიტარისა მიზეზისათვს იქმნა პირველი იგი აღწერად და ესევიტარი განაგო წესიერებად აწ მუცლადღებულმან ამან მეუფემან, რადთა აგვსტოსის ზე იქმნას<sup>13</sup> შეკრებად იგი ერისად და აღწერად ყოვლისავე<sup>14</sup> ჰრომთა სოფლებისად. და არა ხოლო ესე, არამედ თვთ თავისაცა თვსისად არა უღირს იჩინა ერთად მათ აღწერილთაგანად ყოფად დასამტკიცებელად შჯულთა განწესებადთა. რამეთუ მაშინ უმტკიცეს იქმნების შჯული მეფისად, რაჟამს პირველად თვთ შჯულისმდებელი იგი მეფე იქმნეს აღმასრულებელ შჯულისა. ხოლო უკუეთუ ვინ შჯულსა დასდებდეს<sup>15</sup> და თვთ არა აღმასრულებდეს, ესე-ვიტარი იგი დამკსნელი არს და არა შჯულისმდებელი.

ვინადცა ზემო წარმოთქმულთა<sup>16</sup> ამათ მიზეზთათვს იქმნა აღწერად იგი პირველი აგვსტოსის ზე კეისრისა<sup>17</sup> და კუალად ამისთვსცა, რადთა საცნაურ-ყოს ცვალებადობად იგი შჯულიერთა მსახურებათად და განქარვებად ნათესავისა ჰურიათადასად, რადთა არღარა

<sup>1</sup> ეს სიტყვა B ხელნაწერში არ იკითხება  
<sup>2</sup> სხვთ ABDEF.  
<sup>3</sup> მის -B.  
<sup>4</sup> ეწყვებოდიან CF.  
<sup>5</sup> მრავალჟამეულობით BE, მრავალჟამეულობითი C, მრავალჟამეულებითი F.

<sup>6</sup> უფლისა CD.  
<sup>7</sup> განიკუთნა C.  
<sup>8</sup> ἐπιφανίου διατριβή PG, 948.  
<sup>9</sup> ქუეყანასა B.  
<sup>10</sup> ეს სიტყვა პატარა ასოებით სტრიქონებს შორისა ჩაწერილი F.

<sup>11</sup> განიგებვის C.  
<sup>12</sup> მეუფისაგან BDE.  
<sup>13</sup> იქმნეს BE.  
<sup>14</sup> ყოველთავე B.  
<sup>15</sup> დასდებს C.  
<sup>16</sup> ზემოთქმულთა A.  
<sup>17</sup> კეისრისად C.

აქუნდეს თვთმფლობელი იგი თვთშჯულობად, რომლისამიერთა დაუწყნარებლობითა<sup>1</sup> მოჰკლვიდეს უბრალოთა, რამეთუ ჯერ-იყო მათდა, რომელნი შჯულისა გარდამავალ იქმნეს<sup>2</sup> უშჯულოებითა, რადთა ზედა-დაედვას<sup>3</sup> საჭიროდ იგი უღელი მოხარკეობისა<sup>4</sup> და ესრეთ ამის პირისათვს გამოჩნდა საკმარებად პირველ მოკსენებულისა<sup>5</sup> მის ნათესავთა აღწერისა.

4. რამეთუ ამან აღწერამან დაამდაბლა ნათესავი ჰურიათად და აღამაღლა ნათესავი ქრისტეანეთად, რადთა არღარა<sup>6</sup> იკადრებდენ ჰურიანი სამთავროსა შინა ჰრომთასა სიბორგილეთა მსგავსთა პირველისათა. ვინადაცა შემდგომად ამის აღწერისა, დაღაცათუ შეიპყრეს უფალი და წადიერ იყვნეს სიკუდიდ<sup>7</sup> მიცემასა მისსა, გარნა ვერვე ჰყოფდეს მას თავით თვსით, ვითარ-იგი პირველ უყოფდეს<sup>8</sup> წინასწარმეტყუელთა სიკუდიდ განცემასა უმშჯავროდთა<sup>9</sup> მით რისხვითა თვნიერ ყოვლისავე ბჰობისა. არამედ პილატესსა მიიყვანეს იგი, რომელი-იგი დადგინებულ იყო მათ ზედა მთავრად ჰელმწიფებისაგან ჰრომთადა და მისგან ითხოვდეს შჯასა, რადთა თანა ეწამოს მზაკუვარებითა<sup>10</sup> მას ნებასა მათსა დაშჯისა მისისათვს. ვინადაცა პილატე ჩუეულებისაებრ ჰრომთა მთავრობისა გამოიძია რად და იხილა, ვითარ ერთ ენა იყვნეს ჰურიანი მოკლვისათვს უფლისა, ეტყოდა მათ სიტყუათა, რომელნი იგი ყოველთა უწყნით, ვითარმედ არარას<sup>11</sup> ღირსსა სიკუდილისასა<sup>12</sup> ვჰპოებ ამის თანა [ინ. 18, 38-39].

ჰ ჰურიანო, რადსა მოსწრაფე ხართ შემწიკულებად მთავრობასა<sup>13</sup> ჰრომთადასა,<sup>14</sup> რადსა უწყსოებით შეიპყრობთ მართალსა და ამოებით ბრალეულ ჰყოფთ უბრალოსა, რამეთუ მე არცა ერთსა ბრალსა სიკუდილისასა<sup>15</sup> ვჰპოებ კაცისა ამის თანა [ინ. 18, 38-39]. უკუეთუ ნამდვლვე ეძიებთ სამართალსა, მოიკლას ბარაბა და განიტეოს<sup>16</sup> ქრისტე, რამეთუ იგი მეშფოთე არს და მოსისხლე,<sup>17</sup> ხოლო ესე – ქველისმოქმედი და მაცხოვარი<sup>18</sup>. რამეთუ ესე მეუწყა მე თვთ ცილისწამებათა მათგან, რომლითა შესამენდით ამას. ვინადაცა, ვითარცა უღონო-ქმნულნი,<sup>19</sup> ყოვლით კერძო რასა ეტყოდეს ჰურიანი, გარნა ამას, რამეთუ

<sup>1</sup> დაუწყნარებლობითა E.

<sup>2</sup> იქმნეს C.

<sup>3</sup> ედვას EC.

<sup>4</sup> τῆ τῆς ἀνάγκης ἡσυχῆ, PG, 948.

<sup>5</sup> კსენებულისა BE.

<sup>6</sup> არღა D.

<sup>7</sup> სიკუდილად A.

<sup>8</sup> ჰყოფდეს C.

<sup>9</sup> უმშჯავროდთა C.

<sup>10</sup> მზაკუვარებითა C.

<sup>11</sup> არარასა C

<sup>12</sup> სიკუდილისა AC.

<sup>13</sup> შემწიკულებად მთავრობისა („ნ“ სიტყვას ზემოდან აქვს მიწერილი C) CF.

<sup>14</sup> ჰრომთასა BDE.

<sup>15</sup> სიკ~დლისა C.

<sup>16</sup> განტევებულ იქმნას ACDF.

<sup>17</sup> მესისხლე D.

<sup>18</sup> ὁ ὄντος δὲ εὐεργέτης καὶ ἡαἰδῶτης, PG, 949.

<sup>19</sup> + სხვთ F.

მტერობასა კეისრისასა სწამებდეს პილატეს და<sup>1</sup> წინაშე პირსა მისსა სიტყუათაგან პილატესთა თვისსა ამაოებასა დაამტკიცებდეს, ვითარმედ ვინაათგან<sup>2</sup> ქრისტესა შეეწევი, „არა ხარ მოყვარე კეისრისად“, რაჟამს არა გნებავს მოკუდინებად მისი, რომელი იტყვს თავსა თვისსა მეუფედ<sup>3</sup> [შდრ. ინ. 19, 10-13]. გარნა პილატე არცა ეგრეთ უტევა ჰურიათა აღსრულებად ნებად ჩუეულებისა<sup>4</sup> მათისად, რამეთუ უკუეთუმცა მიეშუა მათდა, ქვითა განსტკუნვიდეს უფალსა<sup>5</sup>, ანუ შეშისა ხერხითა განხერხვიდეს,<sup>6</sup> ვითარ-იგი პირველ მისსა უყვეს წინასწარმეტყუელთა მისთა. და ესემცა რად ექმნა, შემემთხუეოდა ჩუენ დაჭირვებად და განწყუებად ნიშისა ამისგან საუფლოდსა ჯუარისა.<sup>7</sup> ხოლო ვინაათგან ჰრომთა ჩუეულებად სატანჯველისა ჯუარი აქუნდა ძელისად, ამისთვისცა ჰკითხა რად პილატე ჰურიათა და ჰრქუა, **რად გნებავს, რადთა უყო, რომელსა-ესე იტყვთ ქრისტედ?** [მრ. 15, 12, მთ. 27, 22] მაშინ ჰურიათა, მინდობითა ჰრომთა ჩუეულებისადთა, ჰრქუეს<sup>8</sup> ჰმობით: **აღიღე, აღიღე<sup>9</sup> და ჯუარს აცუ ეგე!** [მრ. 15, 14] და მყის პილატე აღასრულა სიტყუად მათი, რამეთუ წინაათვე მოპოვნებულად აქუნდა ორღანოდ იგი სატანჯველისად.<sup>10</sup>

5. ამის ესევითარისა კეთილისა წესიერებისათვს იქმნა პირველი იგი აღწერად აგვსტოსის ზე, რამეთუ უკუეთუმცა არა ესე დადებულ იყო შჯულად წინაათვე განჩინებულად და უკუეთუმცა არა ამით შჯულდებულ იყვნეს, არცაღათუ სრულიადსა დაფლვასა მიემთხუეოდა გუამი უფლისად. რამეთუ ეგულებოდა ჰურიათა გარდამატებულებითა სიბორგილისადთა ანუ ცეცხლსა მიცემად, ანუ ზღუასა დანთქმად საუფლოდსა მის გუამისად. რამეთუ უკუეთუ პირველ შეყუარებული იგი იერემია ცოცხლივ დაანთქეს ჯურღმულსა მწვრისასა,<sup>11</sup> რადღამცა არა ექმნა საუფლოდსა მის<sup>12</sup> გუამისა და უკუეთუმცა არა ქენჯნილ<sup>13</sup> იყვნეს პირველ აღწერთა მით და შჯულითა ჰრომთათა?! ვინაიცა ესეცა გვსწავიეს, ვითარმედ<sup>14</sup> ჰურიანი არა შეუნდობდეს დაფლვად

<sup>1</sup> და -C.

<sup>2</sup> ვინათგან B.

<sup>3</sup> მეფედ ACDEF. ζαοποιεισθαι  
θελεις, PG, 949.

<sup>4</sup> ჩუეულებისა ABE.

<sup>5</sup> οί Ιουδαίοι λίθοις τόν Κύριον  
ἐθανάτωσαν. PG, 949.

<sup>6</sup> ἢ ξαλίνῳ πρίονι κατέπρισαν.  
PG, 949.

<sup>7</sup> ἦμεις τόν σταυρόν

ἐζήμισυμεθα. PG, 949.

<sup>8</sup> ჰრქუეს BE.

<sup>9</sup> აღიღე -C.

<sup>10</sup> სატანჯველისად ABC,

სტნ~ჯვლისად DF. ἄνωθεν γάρ

ἐκέκτητο τὸ νεῦμα. PG, 949.

<sup>11</sup> εἰς λάκκον βορβόρου

κατήγαγον. PG, 949.

<sup>12</sup> ამის E.

<sup>13</sup> დაქენჯნილ ADE.

Κολαφίζοντα. PG, 949.

<sup>14</sup> ვითარმედ -C.



გუამსა უფლისასა და არცა თვთ დაჰფლვიდეს, არათუმცა იოსებს არიმათიელსა, რომელი-იგი<sup>1</sup> იყო მეგობარ პილატესსა, მისრულ იყო და გამოეთხოვა გუამი ივსუდსი ფრიადითა ვედრებითა და მრავალთა სიტყუათა პოვნირებითა.<sup>2</sup>

ესრეთ უკუე ჯეროვნად საჯმარ იქმნა აღწერად იგი, ქმნილი<sup>3</sup> ავსტოსის ზე<sup>4</sup> კეისრისა,<sup>5</sup> რომლისა მიერ, დაღაცათუ ჟამ ერთ შეწუხნა<sup>6</sup> მიმთხოველი იგი ქალწულისად, ვითარ იგი აწლა გესმოდა, არამედ ერთბამად განიხარა ყოველმან სოფელმან კეთილითა მით წესირებითა და მტკიცედ განჩინებითა ერთმთავრობისადთა.

გარნა რამე იყო მიზეზი იოსების მქმუნვარებისად, ესე ისწავე მცირეთა<sup>7</sup> სიტყუათა მიერ, რამეთუ რაჟამს იგი აღწერისა მისისათვს<sup>8</sup> ავსტოსისმიერისა აღვიდოდა ბეთლემდ,<sup>9</sup> მის თანა აღჰყვანდა<sup>10</sup> ქალწული იგი მიმთხოვილი<sup>11</sup> მისდა, რომელი იგი იყო მიდგომილ, ვითარცა ზემო აღმოვიკითხეთ. უმეცარ<sup>12</sup> იყო იოსებ საიდუმლოთა მათ წმიდისა ქალწულისა მიერ აღსრულებადთა, ვიდრეღა იგი ჯერეთ არა მიმთხოველ იყო ხილვასა ანგელოზისასა.<sup>13</sup> გარნა ყოვლადწმიდად იგი ქალწული არა ეგრეთ,<sup>14</sup> არა, არამედ ზედამიწევნით მეცნიერ იყო სიტყუათა ყოფადისა მის<sup>15</sup> საიდუმლოდსათა და ერთბამად უწყოდა<sup>16</sup> მიდგომილებადცა თვისი და მიზეზიცა მიდგომილებისად. ამისთვსცა რაოდენ სიზრქე მუცლისად შეემატებოდა, ეგოდენი უზრუნველი და კადნიერებით<sup>17</sup> თავისუფალი ცხორებად მიემადლებოდა. რამეთუ ქალწულებადცა შეუმწიკულებელად<sup>18</sup> დაეცვა და შობადცა უბიწოებით და ულმობელად მიენიჭებოდა. ვინადთგან ძალი იგი მუცლადღებულისად არა ესოდენ დაამძიმებდა, რაოდენ აღასუბუქებდა<sup>19</sup> მას.<sup>20</sup>

**6.** ამისთვისცა, ვითარ იგი პირველ ვთქუ იოსებისთვს, ოდეს-იგი იხილა აღმატებად მუცლისა მის მეუფისა დამტევნელისად, არღა გულისცმა-ეყო დიდებულებად საფასისა<sup>21</sup> მის,<sup>22</sup> მის შორის დაუნჯებულისად. ამისთვსცა მწუხარებით და ურვით გულს ეტყოდა<sup>23</sup> და მგზავრ მიმავალი ქალწულისა მიმართ, ვითარ იგი მგონიეს, ესრეთ ეტყოდა: რამე<sup>24</sup>

<sup>1</sup> იგი -F.

<sup>2</sup> ἀσύκριτόν τι προσεέγκας. PG, 949.

<sup>3</sup> ქმნილი E.

<sup>4</sup> ზე<sup>4</sup> A.

<sup>5</sup> კეისრისა ზე C, კეისრისა ზე<sup>4</sup> F.

<sup>6</sup> ἐστύγασεν. PG, 951.

<sup>7</sup> მცერეთა C.

<sup>8</sup> მისთვს BD.

<sup>9</sup> ბეთლემად C.

<sup>10</sup> ჰყვანდა ACD.

<sup>11</sup> მიმთხოვილი ABF.

<sup>12</sup> უმეცარ C.

<sup>13</sup> οὐκ ἦν οὐδέπω χρησθὸν ἀγγέλου δεξάμενος. PG, 951.

<sup>14</sup> არა ეგრე B.

<sup>15</sup> მის -BE.

<sup>16</sup> უწყოდაცა F.

<sup>17</sup> კადნიერებითი C.

<sup>18</sup> შეუმწიკულებელად A, შემომწიკულებელად B.

<sup>19</sup> აღუსუბუქებდა E.

<sup>20</sup> οὐ τοσοῦτον κοπομένη, ὄσον κοπιζομένη. PG, 952.

<sup>21</sup> საფასისად D.

<sup>22</sup> მის -C.

<sup>23</sup> στύγασας PG, 952.

<sup>24</sup> რამე AB.

არს დიდებად შენი, # მარიამ, ანუ არა შენ ხარ-ა, რომელი-ეგე, ვითარცა პატიოსანი<sup>1</sup> და ვითარცა<sup>2</sup> წმიდად, სიწმიდით აღიზარდე სიწმიდეთა შინა ტაძრისათა?!<sup>3</sup> არა შენ ხარ-ა,<sup>4</sup> მარიამ, რომელი-ეგე არცალათუ პირსა მამაკაცისასა ხილვად თავს-იდებდ?! არა შენ ხარ-ა,<sup>5</sup> მარიამ, რომელი-ეგე პირველ მრავლისა კრძალულებით გამოძიებისა მოთხოვად ჩემდა<sup>6</sup> არა ინებებდ?!<sup>7</sup> არა შენ ხარ-ა,<sup>8</sup> მარიამ, რომელსა-ეგე აღვითქუამს, რადთა დაუჭნობელად დაიმარხო ვარდი იგი ქალწულებისად?! არა შენ ხარ-ა,<sup>9</sup> მარიამ, რომელსა-ეგე საყუარელ გიჩნდა სოსანა და სამაგელ ცოლი იგი მეგვპტელისად?!<sup>10</sup> სადა არს სასძლოდ ქალწულებისა შენისად? სადა არს სავანე იგი სიწმიდისა და უბიწოებისად? ანუ ვიდრე ვიდა ყოვლად განკრძალული იგი მორცხუეობად პირისა შენისად? მე სირცხვლელ ვარ და შენ კადნიერ<sup>11</sup> ხარ-ა?<sup>12</sup> ანუ ესე უშიშ-გყოფს შენ, რამეთუ მე წადიერ ვარ დაფარვად ცოდვასა<sup>13</sup> შენსა, ანუ არა ხედავ-ა<sup>14</sup> სიზრქესა მაგას მუცლისა შენისასა? ვითარ შინაგან საშოხსა შენისა მყოფი ეგე ჩჩვლი ჰკრთების და შენ, ვითარცა განუცდელი, იშუებ<sup>15</sup> განსაცდელითა მაგით. წარვედ, მარიამ, მიიქეც სახიდ<sup>16</sup> შენდა, მოიძიე, რომელმან-იგი ფარულად გიქორწინა<sup>17</sup> და მის თანა აღიწერე! ვინაფთგან მე სხუად სხვასა მას გინებასა უცხოდასა არა თავს-ვიდებ, ვინაფთგან შენ უღონო ხარ, თუმცა რად სიტყუა-უგე სამშჯავროსა მას დამშჯელსა შენსა.<sup>18</sup>

